# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 21 იანვარი 2008 №011 (3235) ფასი 50 თეთრი

# 28:27

## ცივ დარბაზში გამთბარი გულები

## პირველი გამარჯვება საქართველოსთვის



ქართული ხელბურთი კარგა ხანი იყო თავის ნაჭუჭში გამოკეტილი, ახლაღა მოახერხა გამოტეხვა, ევროპაში გასვლა და იქ დიდრონ სახელბურთო ნაკრებების შორიახლო თამაში.

ნორვეგიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ქართველებს ცხადია არ უთამაშიათ, მაგრამ იქვე გამართულ ჩელენჯ ტროფის, ანუ ევროპის მცირე სახელბურთო ერთათვის გამართული ტურნირის ფინალში ლუქსემბურგი 28:27 დაამარცხა და დამოუკიდებლობაში პირველი ტიტული მოიპოვა. ესეც საქმეა გუნდისთვის, რომელიც წლების მანძილზე ხშირად ვერ შეხვედრია მოწინააღმდეგეებს ბილეთის ფულის არქონის გამო.

ნაკრებს არც ახლა ულხინს, ბიჭებმა ამ ცივი ზამთრის გაუთბობელ დარბაზში ვარჯიშ-მზადებით მოიგეს ეს პირველი ჯილდო.

# წინწაგდებული საქმე

## ოლიმპმა სწორად გათვალა: ორს იგებ, ერთში ისვენებ



რუსთაველთა უკრაინელმა ალექსანდრ ომელიანოვმა ორი გაიტანა და ბურთს თავადაც კარში შეჰყვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამეგობრობის თასი

### A ჯგუფი

19 იანვარი

**ზენიტი 3:1 შერიფი**

0:1 პიკუშჩაკი (18), 1:1 იურჩენკო (39), 2:1 გორბუნოვი (45), 3:1 მინკოვი (87)
**ზენიტი:** კერჟაკოვი, გორბუნოვი, ლებედევი, სმირნოვი (ბობროვსკი 89), ხოხლოვი, ოკოროკოვი (კოლესნიკოვი 89), ნაგუმანოვი (ვორობიოვი 82), სოსნინი, გიგოლაევი (პეტროვი 86), იგნატოვიჩი (მირონოვი 70), იურჩენკო (მინკოვი 76)
**შერიფი:** მელენჩუკი (ნამაშკო 46), პერეირა, **თარხნიშვილი**, გოროდეცკი, პიკუშჩაკი (რადუ 71), ბალიმა, არბენაში (კაიპუტი 84), კონსტანცა (ალექსეევი 62), ბულგარუ (გნანუ 89), მამახი, ფერეირა
გაფრთხილება: პიკუშჩაკი, სმირნოვი
მსაჯი: ო. ორეხოვი (უკრაინა)

**ლევადია 1:0 აშხაბადი**

1:0 ანდრეევი (73)

20 იანვარი

**აშხაბადი 2:1 ზენიტი**

0:1 იურჩენკო (5), 1:1 დურდიევი (77), 2:1 ოვეკოვი (78)

**შერიფი 3:0 ლევადია**

1:0 გნანუ (3), 2:0 პერეირა (10), 3:0 გნანუ (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| შერიფი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| აშხაბადი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლევადია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |

### B ჯგუფი

19 იანვარი

**ხაზარი 3:0 კაუნასი**

1:0 პოლადოვი (47), 2:0 რამაზანოვი (50), 3:0 გუსმაო (66)
**ხაზარი:** კრამარენკო, შუქუროვი (მამადოვი 79), კულიევი, პოლადოვი (ტოდოროვი 69), ბახშიევი, რამაზანოვი, ამირკულიევი (დიეგო სოუზა გუსმაო 59), ნაბიევი (სულთანოვი 62), ჯამბაზოვი (ჟუტაუტასი 53), აბდულოვი, მარიო სოუზა (ყურბანოვი 64)
**კაუნასი:** კელო, მენდი, ბაგუჟისი, ვალკანოვი (რეგელსკისი 67), **მანჩხავა** (კუნიავიჩუსი 68), სკრეპისი, გ. **კვარაცხელია** (ვიჩიუსი 74), ლუკშა (პილიბაიტისი 40), ლაურიშასი (ფატახოვი 55), რაფაელი, გრიგალავიჩუსი (პეხლიჩი 81)
გაფრთხილება: პოლადოვი, რაფაელი, შუქუროვი, რამაზანოვი
გაძევება: რაფაელი (36)
მსაჯი: ლ. **სილაგავა** (საქართველო)

**აქტობე 5:0 რეგარ-ტადაზი**

1:0 ბადლო (5), 2:0, 3:0 ხაირულინი (31, 34), 4:0 სტრუკოვი (69), 5:0 ბოგომოლოვი (85)

20 იანვარი

**კაუნასი 4:2 აქტობე**

1:0 რაფაელი (15), 2:0 **კვარაცხელია** (21), 3:0 ლაურიშასი (29), 4:0 კოსოლაპოვი (31ს.კ.), 4:1 ვალკანოვი (65ს.კ.), 4:2 აშირბეკოვი (84პ)
*სმაკოვმა ვერ გაიტანა პენალტი (68)*
**კაუნასი:** კელო, მენდი, ბაგუჟისი, ვალკანოვი, **მანჩხავა** (ზუბავიჩუსი 78), ლუკშა (ჩინიკასი 52), გ. **კვარაცხელია** (**ხუზუტია** 73), პილიბაიტისი, ლაურიშასი (კუნიავიჩუსი 46), რაფაელი (ფატახოვი 63), იარშოვასი (გრიგალავიჩიუსი 55)
**აქტობე:** მორევი (დეკხანოვი 46), ბადლო, მიტროფანოვი (ლოგვინენკო 46), სიმონოვი (უშაკოვი 69), კენჟისარიევი (ბეგანსკი 79), სმაკოვი, კოსოლაპოვი (პუშკარევი 66), ხაირულინი (ბოგომოლოვი 46), ასანბაევი, სტრუკოვი, გოლოვსკოი (აშირბეკოვი 63)
გაფრთხილება: გოლოვსკოი, პილიბაიტისი, **მანჩხავა**, გრიგალავიჩიუსი, კუნიავიჩიუსი, მენდი, ბეგანსკი
გაძევება: გრიგალავიჩიუსი (89), პილიბაიტისი (90)
მსაჯი: ნ. ივანოვი (რუსეთი)

**ხაზარი 2:1 რეგარ-ტადაზი**

0:1 ორტიკოვი (4), 1:1, 2:1 ნაბიევი (55, 65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხაზარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| აქტობე | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| კაუნასი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რეგარ-ტადაზი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

### C ჯგუფი

19 იანვარი

**ოფკ 0:2 ოლიმპი**

0:1, 0:2 ომელიანოვი (74, 75)
**ოფკ:** ტოპალოვიჩი, მარტინოვიჩი, სიმოვიჩი, ბალიჩი, ლოტინაცი (ცვეტინოვიჩი 71), ადამოვიჩი, მიშანი, ჟურავიცა, კასალიცა (ბრკიჩი 56), მილოვაცი (კრასიჩი 80), მილიჩი (შეპოვიჩი 61)
**ოლიმპი:** მერლანი, მახვილაძე, ორბელაძე, სილაგაძე, ხუბუა, სტეფანიშვილი (ვ. კვარაცხელია 61), პოპოვიჩი (სებისკვერაძე 71), კოვალევსკი (ჯოჯუა 34), კახელიშვილი (მეტრეველი 28), გენაძე, ომელიანოვი (თ. ფარულავა 82)
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი
გაფრთხილება: კახელიშვილი, მარტინოვიჩი, ლოტინაცი, კასალიცა, სილაგაძე, ხუბუა, ცვეტინოვიჩი
მსაჯი: ი. შაცკი (მოლდოვა)

**ვენტსპილსი 1:0 დორდოი-დინამო**

1:0 ციგირლაში (55)
**ვენტსპილსი:** ვანინი, კაჩანოვი, სავჩენკოვი, ცილინშეკი, ციგირლაში, ზიზილევი, დუბენსკი, კოსმაჩოვი, მისიკოვი (ლაზდინში 77), კალნსი, რიმკუსი
**დორდოი-დინამო:** ბ. ფარულავა, კუდრენკო, სადიკოვი, გალკინი (კნიაზევი 82), უმარაშვილი, კოუმი (სამსალიევი 85), მირზოევი, ტეტე, არიი (მულაჯანოვი 89), ხარჩენკო, მურზაევი (ასკაროვი 46), კაშუბა
გაფრთხილება: არიი, სავჩენკოვი, გალკინი, კოუმი, ასკაროვი
მსაჯი: ა. საპაევი (თურქმენეთი)

20 იანვარი

**ვენტსპილსი 2:0 ოფკ**

1:0, 2:0 რიმკუსი (72, 90პ)
*მარტინოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (90)*
**ვენტსპილსი:** ვანინი, კაჩანოვი, სავჩენკოვი, ცილინშეკი, ციგირლაში, ზიზილევი, დუბენსკი, კოსმაჩოვი (ციგალკო 70), მისიკოვი, კალნსი (ლაზდინში 75), რიმკუსი
**ოფკ:** შარანოვი, მარტინოვიჩი, ცვეტინოვიჩი, ჟურავიცა (მილიჩი 67), ადამოვიჩი (ბრკიჩი 82), კარაჯიჩი (ბალიჩი 82), მილენოვიჩი, მიშანი (ლოტინაცი 67), მილოვაცი (კლიაიჩი 85), მრვალევიჩი, შეპოვიჩი (ტოპალოვიჩი 90)
გაფრთხილება: კარაჯიჩი, კაჩანოვი, ცილინშეკი
გაძევება: შარანოვი (90)
მსაჯი: ბ. გულიევი (აზერბაიჯანი)

**დორდოი-დინამო 2:3 ოლიმპი**

0:1, 0:2 კოვალევსკი (27, 45), 1:2 კოუმი (46), 2:2 კუდრენკო (52პ), 2:3 კვარაცხელია (80)
*მირზოევმა ვერ გაიტანა პენალტი (5)*
**დორდოი-დინამო:** კაშუბა, კუდრენკო, სადიკოვი, მირზოევი, უმარაშვილი, ასკაროვი, კნიაზევი (სამსალიევი 63), არიი, ხარჩენკო, ტეტე, კოუმი
**ოლიმპი:** მერლანი, მახვილაძე, ორბელაძე, სილაგაძე, ხუბუა, კახელიშვილი (ვ. კვარაცხელია 77), სტეფანიშვილი (მეტრეველი 66), კოვალევსკი (თ. ფარულავა 87), ომელიანოვი, პატულა, ჯოჯუა
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი
გაფრთხილება: კოვალევსკი, კახელიშვილი, ომელიანოვი, კვარაცხელია, მირზოევი
მსაჯი: ვ. ცეიტლინი (უზბეკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ვენტსპილსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| დორდოი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ოფკ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### D ჯგუფი

19 იანვარი

**ფახთაქორი 1:0 დინამო**

1:0 ზ. ტაჯიევი (11)

**ბანანცი 1:1 ბატე**

1:0 მელქონიანი (30), 1:1 სივაკოვი (88)

20 იანვარი

**დინამო 1:1 ბატე**

0:1 კრივეცი (50), 1:1 მოროზიუკი (61პ)

**ფახთაქორი 3:0 ბანანცი**

1:0 ზ. ტაჯიევი (11), 2:0 ხოლიევი (22), 3:0 სუიუნოვი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფახთაქორი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბატე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბანანცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |



უკრაინელ ანატოლი პისკოვეცს უკრაინელებმა გაუმართლეს



ვახტანგ კვარაცხელია და ალექსანდრ ომელიანოვი

# უკრაინელის დუბლი: უკრაინელის დუბლი, უკრაინელის დუბლი

## პისკოვეცმა ოლიმპს წაგება გაუუცხოვა

**მოგებებით** დაიწყო სანკტ პეტერბურგში მიმდინარე „თანამეგობრობის თასი“ საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ და მეოთხედფინალში თამაშის უფლება ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე მოიპოვა.

ანატოლი პისკოვეცის შეგირდები პირველ დღეს სერბულ ოფკ-ს შეხვდნენ და 2:0 მოუგეს.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ რუსთაველებმა მეორეში მოუმატეს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. ორივე გოლი რუსთაველთა ახალწვეულმა ალექსანდრ ომელიანოვმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ომელიანოვმა გოლების გატანა ორწუთიან ინტერვალში მოახერხა (74-ე და 75-ე წუთებზე).

რუსთაველთა უკრაინელი ფეხბურთელი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მატჩის შემდეგ კომენტარი ორივე გუნდის მწვრთნელებმა გააკეთეს...

*ბრანკო ვუკაშინოვიჩი (ოფკ):* „ტურნირზე ახალგაზრდა ფეხბურთელებით ჩამოვედით. ისინი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიან და ეს ქართველებთან თამაშისასაც გამოჩნდა. „ოლიმპი“ კარგად მოქმედებდა მოედანზე, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში, როდესაც გაცილებით ძლიერმა და გამოცდილმა ფეხბურთელებმა მატჩის ბედი გადაწყვიტეს. ვფიქრობ, ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩემი ფეხბურთელებისთვის, მათ ნახეს, როგორ უნდა ითამაშონ ფეხბურთი“.

*ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი):* „პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, ფეხბურთელებს ნერვიულობა ეტყობოდათ. მოედანიც უჩვეულოა ჩვენთვის. შესვენებაზე ფეხბურთელებს მკაცრი ტონით, რომ იტყვიან, კაცურად დაველაპარაკე. ბიჭებს პრესინგი და მონდომებით თამაში მოვთხოვე. როგორც ხედავთ, ამან გაამართლა...

...„თანამეგობრობის თასის“ გათამაშებას საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, რომელშიც ჩვენი მიზანი ევროსაგზურის მოპოვებაა. 22 თებერვალს ჩემპიონატი გვეწყება, 17-ში კი — თასის გათამაშება. ვფიქრობ, სწორედ სათასო მატჩისთვის „ოლიმპი“ კარგ ფორმაში იქნება. ჩვენ აქცენტი უფრო თასზე გვაქვს გადატანილი...

...გუნდი გადახალისებულია — ახალ წლამდე 15 ფეხბურთელი გავუშვი. მე, როგორც უცხოელ მწვრთნელს, გარისკვა მიწევს“.

მეორე დღეს რუსთაველთა მეტოქე ყირგიზული „დორდოი-დინამო“ იყო „ოლიმპმა“, მოგების მიუხედავად, საკმაოდ ანერვიულა გულშემატკივარი.

რუსთაველებმა პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს და 2:0 მოიგეს.

ორივე გოლი ანტონ კოვალევსკიმ გაიტანა, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ მე-5 წუთზე ყირგიზმა მირზოევმა პენალტი გააცუდა.

სამაგიეროდ, თერთმეტი მეტრიდან კუდრენკომ გაიტანა — ეს 52-ე წუთზე მოხდა. მანამდე კი მაკა კოუმმაც გაიტანა და „ოლიმპის“ ორბურთიანი უპირატესობა გაქრა.

რუსთაველებს მშველელად ვახტანგ კვარაცხელია მოევლინათ. ლიტვური „ვეტრადან“ დაბრუნებული თავდამსხმელი მოედანზე ორი წუთის შესული იყო, როდესაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

და აქვე მწვრთნელთა კომენტარებიც...

*ბორის პოდკოტიროვი (დორდოი-დინამო):* „ვულოცავ „ოლიმპს“ გამარჯვებას. მათ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს, ჩვენ კი ეს ამოცანა ვერ შევასრულეთ, თუმც საშიში არაფერია, ბოლოს და ბოლოს, ამ ტურნირს, როგორც ყირგიზეთის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს, ისე ვიყენებთ“.

*ანატოლი პისკოვეცი:* „ძალიან რთული მატჩი იყო. როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად. ორჯერ ავიკიდეთ პენალტი, გავუშვით სწრაფი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში... ვცდილობდი, დამეწყნარებინა ფეხბურთელები, თუმც ემოციებს იყვნენ აყოლილნი, ამიტომ შეცვლებს მივმართე და გამოვიცანი კიდეც — კვარაცხელიამ პირველივე შეხებით გაიტანა. ბიჭების მადლობელი ვარ, მათ მტკიცე ხასიათი გამოავლინეს.

დღეს „ოლიმპი“ ლატვიურ „ვენტსპილსს“ შეხვდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

---

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან ფეხბურთელ გიორგი სიჭინავას შვილის

**გოგას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

---

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ ვეტერან ფეხბურთელ გიორგი სიჭინავას შვილის

**გოგას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განუგრავა ბოლესლაველია? საიდან შვეიცარია, როცა ჩეხეთია



**რამდენიმე** დღის წინ ვწერდით, გიორგი განუგრავამ შვეიცარიულ „ბაზელს“ ესპანურ ლა მანგაში უნდა ჩააკითხოს, სადაც, შესაძლოა, კონტრაქტიც გაფორმდესო. შვეიცარიული გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობდნენ 19 წლის ქართველ ნახევარმცველს, თუმც...

გუშინ შევიტყვეთ, რომ განუგრავა ჩეხური „ბოლესლავის“ ფეხბურთელი გახდა. ჩვენ ჯერ ვერ ვადასტურებთ, მაგრამ ზოგი იქაური ვებგვერდის ცნობით, ქართველი უკვე ოფიციალურად ირიცხება ამ გუნდში.

რაც ნამდვილად ვიცით, ისაა, რომ გიორგიმ ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა „ბოლესლავში“ და ორივეჯერ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა — „ჰრადეც კრალოვესთან“ 0:2 და „ბოჰემიანსთან“ 1:1 დამთავრებულ შეხვედრებში ჩვენიანმა თითო ტაიმი იბურთავა.

„განუგრავა პერსპექტიული ფეხბურთელია და ეს დღესაც დაამტკიცა“ — თქვა „ბოლესლავის“ მწვრთნელმა ზდენეკ შჩასნიმ „ბოჰემიანსთან“ ნამატჩევს.

ამ თამაშის მიმოხილვაში გიორგი ყველაზე ხშირადაა ნახსენები, ანუ ძალიან აქტიური იყო.

ჩვენის მხრივ, დავამატებთ, რომ განუგრავა ერთი წელი უგუნდოდ იყო. მას შარშან დაუმთავრდა კონტრაქტი „ზესტაფონთან“ და თავისუფალი აგენტი გახლდათ, თუმც ვერსად მოეწყო.

ცოტა რამ „ბოლესლავაზეც“: ეს გუნდი ჩეხეთის გამბრინუსლიგაში მეათე ადგილზეა, თუმც შარშან და განსაკუთრებით შარშანწინ, მშვენიერი სეზონები ჰქონდა — ჩემპიონობისთვისაც იბრძოდა. ჩეხეთის პატარა ქალაქის გუნდი ამ სეზონში უეფას თასზეც თამაშობდა, თუმც ჯგუფიდან ვერ გავიდა.

და კიდევ: „ბოლესლავს“ ორი წელი წვრთნიდა თბილისის „დინამოს“ თავკაც დუშან უჰრინის ვაჟი — უმცროსი დუშან უჰრინი.

**ილია ნანოგაშვილი**

# უჰრინმა მარცხში წერტილები დაინახა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა — ჩვენების მეტოქე ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ იყო და შეხვედრაც მათ მოიგეს (2:1).

„დინამოს“ უკრაინელებთან თამაშისას სამი ლიდერი — დავით დიღმელაშვილი, ჟორჟ აკირემი და გიორგი მერებაშვილი აკლდნენ. ისინი ტრავმირებულნი არიან და რამდენიმე ვარჯიშიც გაუცდათ, თუმცა თბილისელთა ექიმებს ეიმედებათ, რომ ეს ფეხბურთელები სრულფასოვან მომზადებას დღეს-ხვალ განაახლებენ.

„მეტალურგი“ მე-19 წუთზე ლაზარევიჩმა დააწინაურა, ცოტა ხანში, კი მისი პასით კაბანოვმა იხეირა. ჩვენებიდან თავი გამოიჩინა გურამ კაშიამ, ვინც დავით ოდიკაძის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს უნაკლოდ დაარტყა.

თბილისელებს მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ მეტის გატანა ვერ მოახერხეს.

— „მეტალურგმა“ ორივე გოლისას ჩვენების უხეში შეცდომებით ისარგებლა, ელემენტარულ სიტუაციებში ვერ შევძელით ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა. შესვენების შემდეგ გუნდი უფრო მწყობრად ათამაშდა და უკრაინელებს ჩვენს ნახევარზე გადმოსვლის საშუალება არ მივეცით. სასარგებლო მატჩი იყო, კარგად გამოჩნდა სუსტი წერტილები, რის გამოსწორებასაც მომავალში ვეცდებით — თქვა ნამატჩევს „დინამოს“ თავკაცმა დუშან უჰრინმა.

ზაპოროჟიელთა შორის არ ყოფილა მათი ლიდერი დავით კვირკველია, ვინაც „მეტალურგის“ ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთ ფეხბურთელთან ერთად იმავ დილით ბაქოს „ნეფთჩისთან“ ითამაშა.

მომდევნო მატჩს „დინამო“ ხვალ თურქეთის მეორე ლიგის „ზეიტუნბურლისფორთან“ გამართავს, ზეგ კი თბილისში დაბრუნდება.

**კობა ინასარიძე**

# მოგება, წაგება, ფრე: სიონმა ბალანსი შეავსო

**სოფელ** რატევანში მესამე საკონტროლო მატჩი გამართა ბოლნისის „სიონმა“, რამდენიმე დღის წინ „ამერთან“ 1:2 დათმო, უფრო ადრე „გაგრას“ 2:1 მოუგო, გუშინ კი „ზესტაფონს“ დაუზავდა — 1:1.

მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ორივე გუნდმა ბლომად მომენტები შექმნა, თუმც მხოლოდ თითოჯერ შეძლეს გატანა.

პირველად ბოლნისელებმა იხეირეს — 21-ე წუთზე გიორგი გუგავას გადაცემით თემურ რაქვიაშვილმა გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ „ზესტაფონმა“ შეტევა გააძლიერა და 41-ე წუთზე საწადელსაც მიაღწია — ეროვნული ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძემ შანსი არ დაუტოვა გიგა იაშვილს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*სიონი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე (ბოლქვაძე 46), ფრიდოლინი, გუგავა, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი (ქარდავა 46), ზ. ავალიანი, ლ. ბაჯელიძე, შ. ჯიქია, ჩასემი.*

*ზესტაფონი: ჭანტურია (რ. კვასხვაძე 46), თოდუა, ბახტურიძე (ბ. გოცირიძე 46), ლობჟანიძე, რ. ონიანი, დაუშვილი, ხიდეშელი, ნ. კვასხვაძე (ზუმარაშვილი 76), ვიეირა (გ. ჭელიძე 46), ბენაშვილი, იონანიძე (გორგიაშვილი 85).*

„სიონი“ 23 იანვარს თბილისის „მერანს“ შეხვდება, 26-ში კი აზერბაიჯანულ „სიმურგს“.

„ზესტაფონის“ გეგმები ასეთია: ხვალ „სიმურგთან“ გამართავს ტესტ-მატჩს, 24 იანვარს კი ანთალიაში წავა შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# შეიმატებს ვიტ ჯორჯია შეკრებამდე გურულს?



**თბილისის** „ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს — ყარაგანდის „შახტიორის“ სარეზერვო გუნდის შემტევი გიორგი გურული, ვინც ყაზახეთში ქუთაისის „ტორპედოდან“ წავიდა.

როგორც ვიტელთა მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ გვითხრა, ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა გურული გუნდში — ეს საკითხი 3 თებერვლამდე გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ 3 თებერვალს „ვიტ ჯორჯია“ ანთალიაში მიდის შეკრებაზე — ვიტელები სასტუმრო „ტურკიზში“ დაბინავდებიან.

ვეტერინარები თურქეთში რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავენ.

**ნუკრი ლოლაძე**



# დავით ხმელიძე დინამოში მივიდა

**დავით ხმელიძე** გეხსომებათ — ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე, ვისაც კარიერა ტრავმებმა აურ-დაურია, ბარნაულის „დინამოში“ გადავიდა.

რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბმა ხმელიძე „ზვეზდადან“ გადაიყვანა და უკვე კონტრაქტიც გაუფორმა.

27 წლის რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი ხმელიძე სოჭის „ჟემჩუჟინას“ აღზრდილია, მერე „როსტსელმაშში“ თამაშობდა და ხანგრძლივი უიღბლო პერიოდიც ამის შემდეგ დაეწყო...

**კახა შალამბერიძე**

# მუჯირის ექსკურსია



**დავით მუჯირი** სამარის „კრილია სოვეტოვს“ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში „ექსკურსიაზე“ ახლდა — ტრავმის გამო „მუმუ“ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა და არც ერთ საკონტროლო მატჩში არ უთამაშია.

რუსეთში დაბრუნებული სამარელები 25 იანვარს მორიგ შეკრებაზე გაემგზავრებიან — ამჯერად ესპანეთში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქვედალიგელების ბელარუსული გზა

**ბელარუსის** უმაღლესი ლიგის კლუბ მოგილიოვის „დნეპრში“ ორი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება — გოჩა ლომიძე და შალვა ლობჟანიძე.

ორივე მცველია, 21 წლისანი.

ლომიძე პირველლიგელ თელავის „კახეთში“ თამაშობდა, ლობჟანიძე კი — რეგიონალლიგელ ლაგოდეხის „ჰერეთში“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გამტანი ქებაძე, ლიდერი ქეცბაია



**კვიპროსის** ჩემპიონატის მე-17 ტურში ერთი ქართული გოლი გავიდა — ნიქოზიის „ეთნიკოსის“ თავდამსხმელმა ლევან ქებაძემ „ოლიმპიას“ 49-ე წუთზე გაუტანა, მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა (1:2). ამ სეზონში ეს ქებაძის მეექვსე გოლია.

„ანართოსისმა“ კი, რომლის მწვრთნელი თემურ ქეცბაიაა, სტუმრად 1:0 სძლია „ნიქოზიას“ და ჩემპიონატს 41 ქულით ლიდერობს.

„ანართოსისის“ ქართველი თავდამსხმელი კლიმენტი წიტაიშვილი ბოლო წუთზე შევიდა მოედანზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# ძოძუაშვილი და ორი ქართველი

**რევაზ ძოძუაშვილმა** ყარაგანდის „შახტიორი“ თურქულ შეკრებაზე წაიყვანა და თან ორი ქართველი იახლა — ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე და თავდამსხმელი ლევან მელქაძე.

ყარაგანდელები 22 იანვარს ამხანაგურ მატჩს გამართავენ მოსკოვის „დინამოს“ სარეზერვო გუნდთან, 25-ში ბუქარესტის „დინამოს“ გაეჯიბრებიან, 28-ში კი — რუსულ „როსტოვს“.

**კახა შალამბერიძე**

# დავით გვარამაძე: რა ვქნა, ცუდი უფრო მახსენდება...



„კარიერაში კარგი თამაშებიც მქონია, მაგრამ რატომღაც, უფრო ცუდები მახსენდება. ბევრის გაკეთება შეეძლო ჩემი დროის ეროვნულ ნაკრებს, მაგრამ მეც და სხვებსაც, ეტყობა, რაღაც დაგვაკლდა. სამწუხაროდ, მე ტრავმებმა გამაწამა, შესაძლებლობების 40 პროცენტი სწორედ ამან წაიღო" — გვითხრა საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ **დავით გვარამაძემ**, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ კარიერა დაასრულა. 32 წლის გვარამაძეს მეკარეებიდან ყველაზე მეტი, 28 მატჩი ჩაუტარებია საქართველოს ნაკრებში, ბევრი კლუბი მოუვლია და ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" იყო...

### ვნახოთ, როგორი მასწავლებელი ვიქნები

— 32 წლის ასაკში ბევრი მეკარე ფორმის პიკშია, შენ კი ფეხბურთს თავი დაანებე. რატომ?

— გამიჭირდა კარში დგომა და ამიტომ შევეშვი ფეხბურთს-მეთქი, ვერ ვიტყვი, უბრალოდ, მოტივაცია აღარ შემრჩა, ახალს ვერაფერს მივაღწევდი. საქართველოს ჩემპიონატში მეკარეებს შედარებით იშვიათად გვიწევს თავის გამოჩენა, აქ არ არის ისეთი დინამიკა, რომ მეკარე სულ დაძაბულობაში იყოს, თანაც, ახლა აქცენტი ახალგაზრდებზე კეთდება.

— ბოლო წლებში უფრო დაიკლო თამაშის დონემ საქართველოს ჩემპიონატში?

— სამწუხაროდ, თუ არ დაიკლო, არც წინ წაიწია. ბოლო ხუთ წელიწადში სასიკეთო არ ჩანს. ძალიან ცოტა კარგი ფეხბურთელი თუ იზრდება აქ. აი, ბოლოს ლევან ყენია წამოვიდა და მისთანები ხშირად თუ იქნებიან, ამას რა აჯობებს.

— ახლა რას აპირებ, მწვრთნელობაზე არ გიფიქრია?

— ცოტა ხანს პაუზა მაქვს, მერე კი აუცილებლად ფეხბურთში ჩავებმები. ალბათ, მეკარეების მწვრთნელი გავხდები. რაც მე ვერ გავაკეთე, იქნებ ჩემმა შეგირდებმა გააკეთონ. ვნახოთ, როგორი მასწავლებელი ვიქნები...

— მეკარეების პრობლემა — რაც თავი გვახსოვს, ეს ყოველთვის ისმოდა. რას იტყვი, მართლა ასე ცუდად გვაქვს საქმე?

— ეს პრობლემა ისევ და ისევ ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონიდან მოდის, თორემ, აბა, საბჭოთა კავშირის დროს მეკარეების პრობლემა სად გვქონდა?!

— ახლა ეროვნული ნაკრების კარში 17 წლის გიორგი მაკარიძე დგას. რას იტყვი მასზე?

— ასაკის კვალობაზე ნამდვილად პერსპექტიული ბიჭია. რაც მთავარია, გულიანად უდგება საქმეს. და მაინც, ვერ ვიტყვი, რომ ეროვნულ ნაკრებში 17 წლის მეკარის დაყენება გამართლებულია — ალბათ, სჯობდა, მაკარიძეს ეტაპობრივად გაევლო გზა, ჯერ 19-წლამდელებში, მერე — ახალგაზრდულში...

— თუმცა შენც საკმაოდ ახალგაზრდა იყავი, როცა ეროვნულ ნაკრებში მოხვდი...

— მაგრამ 17 წლისა არ ვყოფილვარ. თავის დროზე მეც ძალიან პერსპექტიულ მეკარედ მთვლიდნენ, მაგრამ ასაკობრივ ნაკრებებში ვითამაშე და ისე მივედი ეროვნულში. ეგრევე ეროვნულში თამაში ფსიქოლოგიურადაც ძნელია.

— რა მოგწონს მაკარიძეში, აქვს მას მეკარისთვის საჭირო თვისებები?

— დინჯი და აუღელვებელია. ეს შოტლანდიასთან მატჩშიც შეეტყო. მერე კი ნელ-ნელა დაიხვეწება.

— ეროვნულ ჩემპიონატში სხვა ქართველი მეკარეებიდან ვის გამოარჩევ?

— „მერანის" რევაზ თევდორაძეს. ჩემპიონატშიც კარგი თამაშები ჩაატარა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც, როცა რუსეთს 2:0 მოუგეს.

### იტალიას შემთხვევით ვერ მოუგებ

— შენს კარიერაში ყველაზე სასიამოვნოდ რომელი წლები გახსენდება?

— „დინამოში" ახალი მისული რომ ვიყავი, მაშინდელი დრო მახსენდება კარგად. „ბილბაო" რომ კინაღამ გამოვთიშეთ ჩემპიონთა ლიგიდან. ასევე „კრილიაში" თამაში... კარგი მატჩები მქონდა ახალგაზრდულ ნაკრებში, როცა ვლადიმერ გუცაევი გვწვრთნიდა და იტალიას გავასწარით ჯგუფში — მეორეზე გავედით.

— იმ დროს მართლაც იტალიაზე ძლიერი გუნდი იყავით თუ, უბრალოდ, გამართლების მომენტი იყო?

— არა, გამართლება და შემთხვევითობა არაფერ შუაშია, ინგლისსაც სტუმრად ფრე ვეთამაშეთ. კარგი თაობა იყო — ქინქლაძის, არველაძეების, ნემსაძის, ჯამარაულის და ყაველაშვილის თაობის მერე ჩვენ წამოვედით და რაღაც დონეზე წარმატებას მივაღწიეთ.

— „ბილბაოსთან" მატჩები რაღაც გამონათებასავით იყო. რას დააბრალებდი, რომ ესპანეთის მეორეადგილოსანს ტოლსწორად ეთამაშეთ, ორ კვირაში კი ჰოლანდიურ „ტილბურგთან" შინ და გარეთ წააგეთ 0:3?

— განწყობის მომენტი იყო. ერთი ნაბიჯი გვქონდა დარჩენილი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე და „ბილბაოს" თავი შევაკალით. მეორე მატჩში დავით მუჯირი გაგვიძევეს, თანაც გიორგი კიკნაძემ ვერ გაიტანა გასატანი და საცოდავად წავაგეთ.

### პირადად ჩემთვის ნაგება დაუბრალებიათ

— ეროვნულ ნაკრებშიც ბევრი გულდასაწყვეტი თამაში გქონია...

— სამწუხაროდ, ცუდი თამაშები უფრო მახსენდება, ვიდრე კარგები. ლატვიასთან რომ წავაგეთ 0:1... თითქოს ნორმალური გუნდი გვყავდა, კარგი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი იყო, მაგრამ ის ციკლი საერთოდ ჩავაგდეთ.

— ყოფილა შემთხვევა, მწვრთნელს შენთვის ეთქვა, პირადად წააგე თამაშიო?

— კი, ყოფილა ასეთებიც, მაგრამ არ მინდა დავაკონკრეტო, რომელი თამაშის შემდეგ იყო. ასეთი მიდგომა არასწორია. შეუმცდარი არავინაა, კასილიასი და ბუფონიც უშვებდნენ უამრავ შეცდომას, მაგრამ, არ მგონია, მათთვის ასე ეთქვათ, შენ წააგეო. შეცდომა თუ არ აპატიე, მეკარე ფსიქოლოგიურ წნეხში ვარდება.

— იტალიასთან მატჩში, როდესაც 0:2 წავაგეთ, კარში შენ იდექი. იყო ის პენალტები, რომლებიც მსაჯმა დადო?

— პირველად, ტოტიზე არ იყო პენალტი. ასე ჩანდა ვიდეოგამეორებაზეც. შემდეგ იყო პენალტი, რომელიც უკვე აღარ დადო მსაჯმა, მაგრამ იმ დროს უკვე 0:2-ს ვაგებდით.

— ბევრი მაღალი კლასის თავდამსხმელის წინააღმდეგ გითამაშია და რომელს მოუხდენია შენზე განსაკუთრებული ეფექტი?

— ასე ვერ გამოვარჩევ. მსოფლიოში ძნელია ამორჩევა, ქართველებიდან კი ყველაზე ძლიერი შოთა არველაძე იყო.

**ილია ნანობაშვილი**

## კობიაშვილი გვიან შევიდა

**მზადებას** აგრძელებს გელზენკირხენის „შალკე".

„ხუმარები" ტესტ-მატჩში რეგიონალლიგელ „მაგდებურგს" გაეჯიბრნენ და სუსტ მეტოქეს ვერაფერი მოუგეს — 1:1.

ლევან კობიაშვილი „შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ ძირითადში არ დააყენა და მოედანზე მხოლოდ 62-ე წუთზე შეუშვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## დავით სირაძე ჯერაც ერთვება

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფმა „პადერბორნმა" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და „აინტრახტთან" ფრეს (1:1) გამორჩა.

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ დავით სირაძეს ტრავმის შემდეგ ბოლომდე ჯერაც არ ტვირთავენ და ფრანკფურტელებთან მატჩშიც 62-ე წუთზე ჩაერთო.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგა 17 თებერვალს განახლდება და „პადერბორნს" ადგილის შესანარჩუნებლად რთული ბრძოლა ელის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



## კობახიძე საუკეთესოა!
### აშვეთიამ და ჯიქიამ ანჟიში გაიტანეს

**სანდრო კობახიძემ** უკვე აალაპარაკა დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ქომაგები. გუშინ დნეპროპეტროვსკელები ერთი შემადგენლობით მახაჩყალის „ანჟის" (0:1) ეთამაშნენ, მეორეთი კი რამენსკოეს „სატურნს" (0:1).

„ანჟისთან" მატჩში კობახიძე ძირითადში იყო და, როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს — საუკეთესო გახლდათ.

„ყველა შეტევას კობახიძე იწყებდა, ეს ფეხბურთელი საოცარი სწრაფი დრიბლინგების გარდა, შესანიშნავი პასებითაც გამოირჩა" — წერს ვებგვერდი.

ამავე მატჩში 62-ე წუთზე მოედანზე შევიდა გოგი ფიფია, ჯაბა კანკავამ კი მეორე შემადგენლობაში „სატურნთან" ერთი ტაიმი ითამაშა.

და ბარემ მახაჩყალელებზეც ვთქვათ: „დნიპროსთან" ხუთივე ქართველმა ითამაშა და თავი ბევრი არაფრით გამოუჩენიათ, სამაგიეროდ, „ვიტიაზთან" საკონტროლო მატჩში (2:2) გაიტანეს გოლები მიხეილ აშვეთიამ და რევაზ ჯიქიამ.

შეგახსენებთ, რომ მათ გარდა „ანჟიში" ვალერი აბრამიძე, გოჩა ხოჯავა და ზურაბ არზიანი თამაშობენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## დვალიშვილი სკონტოში გოლით ჩავიდა

**რიგის** „სკონტოში" გამოჩნდა რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმერ დვალიშვილი.

„სკონტომ" საკონტროლო მატჩი გამართა „ეკრანასთან" და 4:2 დაამარცხა. მეოთხე გოლი დვალიშვილმა გაიტანა, რომელმაც დავით გამეზარდაშვილთან ერთად სრულად ითამაშა, მესამე ქართველი ზაალ ელიავა კი არ გამოჩენილა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## სანდრო იაშვილი ისევ უგოლოდ

**მორიგი** ამხანაგური მატჩი გამართა შვეიცარიულმა „თუნმა" — ამჯერად „კონკორდიას" გაეჯიბრა და 2:2 ითამაშა.

ქართველი თავდამსხმელი სანდრო იაშვილი 59-ე წუთზე შევიდა მოედანზე, თუმცა გოლი არ გაუტანია.

იაშვილი ზაფხულში გადავიდა შვეიცარიულ კლუბში, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ჯერჯერობით უჭირს...

**ბახა შალამბერიძე**

ფეხბურთელ კახა კალაძეს კარგად ვიცნობთ. „მილანის" ქართველი მცველის სარესტორნო ბიზნესზეც მეტ-ნაკლები ინფორმაცია გვაქვს. კახა უკრაინაში ჟურნალსაც გამოსცემს... მოკლედ მის ცხოვრებაში, ფეხბურთის გარდა, ნელ-ნელა სხვა საქმიანობებიც შედის. ამ ინტერვიუში კი, რომელიც **FINCHANNEL.COM**-ზე გამოქვეყნდა, კახა კალაძე საბანკო სფეროში თავის ინტერესებზე ლაპარაკობს და... საქართველოს პრეზიდენტობასაც ახსენებს...



ვაჟა ფოლადიშვილის ფოტო

# ბიზნეს-ინტერვიუ

## კახა კალაძე ბანკზე, რესტორნებსა და საქართველოს პრეზიდენტობაზე

— თქვენ, „მილანის" მცველს, რამ გიბიძგათ სამშობლოში საბანკო საქმიანობის წამოწყებისკენ?

— ერთადერთი, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია, ის გახლავთ, რომ 2008 წლის მარტში საქართველოში გაიხსნება „პროგრეს ბანკი". რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას მის საფინანსო სექტორსა თუ დირექციაში, ამაზე მხოლოდ პრეზენტაციის შემდეგ მოგახსენებთ. დღეს უმთავრესი ქვეყნის სტაბილური განვითარებაა. იმისათვის, რომ იქ ესა თუ ის ბიზნესი წარმატებით განვითარდეს, ინფრასტრუქტურამ უნდა შეუწყოს ხელი.

— **ქვეყანაში, სადაც საფინანსო ბიზნესში ორი მსოფლიო გიგანტი, SocGen და HSBC საქმიანობს, ხოლო მათ გარდა არიან „საქართველოს ბანკი", „სახალხო ბანკი" და TBC, რის მიღწევას აპირებთ ახალი ბანკით?**

— საქართველოში საბანკო სექტორი მართლაც ევროპული სტანდარტისაა. ადგილობრივი ბანკების წარმატებამ ამ ქვეყანაში შესვლისკენ მსოფლიო გიგანტებიც წაახალისა. რაც შემეხება პირადად მე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხელსაყრელ გარემოში საქმიანობის პერსპექტივამ მიმიზიდა. მწამს, ყველა დასახულ მიზანს მივაღწევ. 30 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „პროგრეს ბანკს" ლიცენზია მისცა, ასე რომ, საკუთრივ ბანკი 2008 წლიდან დაიწყებს მუშაობას.

— რაც შეეხება თქვენს თანამშრომლობას „მაგთისთან", ერთწლიანი კონტრაქტი 2008 წელს იწურება. აპირებთ ამ მობილური ოპერატორის სარეკლამო სახედ დარჩენას?

— ამაზე მე და „მაგთის" წარმომადგენლები დავსხდებით და მოვილაპარაკებთ. „მაგთისთან" კონტრაქტი გახლდათ ჩემი პირველი მსხვილმასშტაბიანი ქართული ხელშეკრულება. მეამაყება, საქართველოს წამყვანი მობილური ოპერატორის საეკლამო სახე რომ ვიყავი.

— „მაგთის" სარეკლამო სახედ წარდგენის ცერემონიალზე თქვენ განაცხადეთ, რომ ამ პროექტმა გასამრჯელოთი არ მოგხიბლათ. მეტიც, თქვენ თქვით, რომ ჰონორარის დიდი ნაწილი სამტრედიაში ეკლესიის მშენებლობასა და „მომავლის სახლის" ბავშვებზე დაიხარჯება. რამდენად აქტიური ბრძანდებით ბავშვთა ფეხბურთის განვითარების საქმეში?

— „პროგრეს ბანკის" გახსნის შემდეგ ბავშვთა ფეხბურთის განსავითარებლად უფრო მეტი საშუალება გამომიჩნდება. რასაკვირველია, ყველა ბავშვი დიდი ვარსკვლავი ვერ გახდება, მაგრამ მათი სპორტში ჩაბმა სულაც არ არის უმნიშვნელო. სპორტში ჩართულ ბავშვებს ქუჩებში ჩხუბის და მავნე ჩვევების შეძენის დრო აღარ ექნებათ.

— თქვენ D&G -ს რეკლამებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გაქვთ. ჯორჯო არმანიმ კი „სპორტ-ექსპრესს" ასე უთხრა: კალაძე ჩემს პროექტებში არ მონაწილეობს, მაგრამ მას ხშირად ნახავთ სხვადასხვა ჩვენებების დროს წინა რიგებში და გარდა ამისა, მოდის დიდ მოყვარულს თავადაც ყოველთვის ელეგანტურად აცვია". რომელი ბრენდის ერთგულია კახა კალაძე?

— ჩემი კარადა დოლჩე და გაბანას სამოსით არის სავსე. ის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ბრენდია. რაც შეეხება არმანის ან რომელიმე სხვა ცნობილ დიზაინერს, როდესაც დრო მაქვს, მათ ჩვენებებზე დავდივარ, თუმცა „მილანის" ფეხბურთელობას დიდი დრო და ენერგია მიაქვს. სპორტულ ტანსაცმელზე კი ასე გეტყვით: მე მიყვარს „დიადორა", იტალიური ფირმა, რომელიც უამრავი სპორტსმენის სპონსორიცაა.

— თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით თქვენს ბიზნეს-გეგმებზეც გვითხარით. ისეთებზე, როგორებიცაა სასტუმრო „კოლხეთი" ქობულეთში და რესტორნები, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ...

— „კოლხეთზე" იმას მოგახსენებთ, რომ სასტუმრო ივლისში დაიკეტება და რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნება. დაახლოებით 14-15 თვის შემდეგ „კოლხეთის" სახით, აჭარას 3-4-ვარსკვლავიანი სასტუმრო შეემატება. მაგრამ ამის მიუხედავად, მე არ ვაპირებ, სასტუმროების ან რესტორნების ბიზნესს სერიოზულად მივყო ხელი. არ აქვს მნიშვნელობა, საქართველოში სასტუმრო „კოლხეთი" მაქვს თუ იტალიაში რესტორანი „ჯანინო".

— თქვენზე, როგორც ფეხბურთელზე, ბოლოს ის თქვეს, რომ 6 მილიონ ევროდ „ლივერპული" გეპატიჟებოდათ. რას იტყოდით ამ ცნობის შესახებ და საერთოდ, 2007 წელი შეაფასეთ...

— ბედნიერი ვარ, „მილანთან" 2010 წლამდე რომ გავახანგრძლივე კონტრაქტი და სხვა გუნდში გადასვლა არ მჭირდება. ამასთან, მინდა განვაცხადო, რომ „ლივერპულის" თაობაზე ჭორი გავრცელდა. მართალიც რომ ყოფილიყო, მაინც იქ დავრჩებოდი, სადაც დავრჩი. რაც შეეხება 2007 წელს, ჩემმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და საკლუბო მსოფლიოს თასი მოიგო.

— როგორც წარმატებული ფეხბურთელი, ბიზნესმენი და მომავალი ბანკირი, ოდესმე საქართველოს პრეზიდენტობაზეც ხომ არ იფიქრებთ?

— არ გამოვრიცხავ, ოღონდ მხოლოდ მას მერე, რაც ფეხბურთის თამაშს დავანებებ თავს.

# ციმაკურიძეს უქმე გოლები

**სიმფეროპოლის** „ტავრიამ" საწვრთნელი შეკრება ყირიმიდან ანთალიაში განაგრძო, თუმც თურქეთში არ წაუყვანია ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე, რომელიც „ტავრიაში" გასინჯვაზე იყო.

ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა ყირიმულ ტესტ-მატჩებში კარგად ითამაშა, ორჯერ გოლიც გაიტანა და თითქოს კონტრაქტის გაფორმებაში აც არაფერი უკლდა, თუმცა ... ილ ფომენკომ მისი გუნდში დატოვება გადაიფიქრა.

ციმაკურიძე „ტავრიაში" ლუგანსკის „ზარიადან" მივიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ ახალი გუნდის ძებნა მოუწევს და ვნახოთ, სად გააგრძელებს კარიერას...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველია 1:1 ადამია

**ზაპოროჟიეს** „მეტალურგმა" თბილისის „დინამოსთან" გადახალისებული შემადგენლობა ათამაშა, იმავე დღეს კი სხვა თერთმეტეულით ბაქოს „ნეფთჩის" გაეჯიბრა და 1:1 ეთამაშა.

კვირკველიამ 90 წუთი იბურთავა ზაპოროჟიელთა შემადგენლობაში, „ნეფთჩიში" კი ერთი ტაიმი გაისარჯა გიორგი ადამია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯაკობიამ მოუმატა და თბილისში დაბრუნდა

**დატვირთვას** მოუმატა პოლტავის „ვარსკლას" ქართველმა თავდამსხმელმა ლაშა ჯაკობიამ.



ნოვისიბირსკის „სიბირთან" საკონტროლო მატჩში ჯაკობიამ მოედანზე ბოლო ნახევარი საათი გაატარა და ერთხელ გოლის გატანის კარგი შანსიც გაუშვა.

მატჩი 0:0 დასრულდა.

პოლტაველებმა თურქული შეკრება დაასრულეს და უკრაინაში დაბრუნდნენ, თუმც ჯაკობიას გარეშე — ლაშა ოჯახური საქმეების გამო რამდენიმე დღეს საქართველოში გაატარებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ღია კარის დღე ზარიაში

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ლუგანსკის „ზარიამ" ზედიზედ ორი ტესტ-მატჩი გამართა — ჯერ 2:0 სძლია ყაზახურ „ყაზახმისს", მერე კი 0:8 განადგურდა გერმანულ „კოტბუსთან".

„ზარიას" ერთადერთმა ქართველმა ლეგიონერმა ლადო ბურდულმა ყაზახებთან მეორე ტაიმი ითამაშა, გერმანელებთან კი ძირითადში გახლდათ...

**კახა შალამბერიძე**

# გიგიაძე ნეფტიანიკიდან ოფიციალურადაც წავიდა



**ვასილ გიგიაძე** უკვე საბოლოოდ დაშორდა ახტირსკის „ნეფტიანიკს".

უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი სეზონის წინ კრივოი როგის „კრივბასმა" გაანათხოვრა უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ნეფტიანიკში", თუმცა ჩვენებური ახალ გუნდს ვერ შეეწყო და უმეტესად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა.

ამ ზამთარს გიგიაძემ ახტირსკის დატოვება გადაწყვიტა და ამის წინააღმდეგი არც თავად კლუბი ყოფილა — მოკლედ, ყველაფერი ოფიციალურად მოგვარდა და ახლა ვასოს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს, რადგან „კრივბასი" მის დაბრუნებას არ აპირებს.

**კახა შალამბერიძე**

# გვაზავა და მეშახტეები

**ახალი** სეზონისთვის მზადება დაიწყო ლევან გვაზავამ და ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიამ".

თურქულ ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა „ლუჩმა" სპარინგი დონეცკის „შახტართან" გამართა და 0:3 დამარცხდა. გვაზავამ ძირითადში დაიწყო, თუმც მწვრთნელმა 62-ე წუთზე შეცვალა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბომბარდირი ბუ



თავიანთ ჩემპიონატებში ნუხელ საღამოს უნდა ეთამაშათ ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და ტაირონ ელისს, თუმც ამ მიმოხილვაში იმათ ამბებს მოგითხრობთ, რომლებმაც გასულ კვირაში მოედანზე გასვლა უკვე მოასწრეს. ესენი არიან: მანუჩარ მარკოიშვილი, ვლადიმერ ბოისა და გიორგი ცინცაძე, რომლებმაც შუა კვირაში ევროტურნირებზეც ითამაშეს და შაბათს შიდაჩემპიონატებშიც მოასწრეს ხელის გაქნევა. მთლად ეროვნული ჩემპიონატი არ ეთქმის იმ ტურნირს, რომელშიც ცინცაძემ გუშინწინ ითამაშა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს — „ბუ“ ისევ მოწოდების სიმაღლეზე იყო

### ესტონეთი

ცინცაძე აღარ ხუმრობს. „როკის“ ქართველი გამთამაშებელი ისედაც საუკეთესო იყო თავის გუნდში და გასულ კვირაში კიდევ უფრო ყოჩაღად გაისარჯა. თან მეტოქესაც ხომ გააჩნია: „როკი“ ბალტიის ლიგის მორიგ ტურში ელიტარული დონის „ჟალგირისს“ სტუმრად, კაუნასში შეხვდა და ცოტაც რომ გამართლებოდა, გაიმარჯვებდა კიდეც.

„როკერები“ მთელი მატჩის მანძილზე უძლიანდებოდნენ ძლიერ მეტოქეს, რაც, ძირითადად, გიორგი ცინცაძის დამსახურება იყო. „ბუ“ საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი გახდა 28 ქულით. მან მთელი 10 ქულით აჯობა „ჟალგირისის“ მთავარმექულე მარკ პოპოვიჩს.

ქართველმა გამთამაშებელმა 17 ორქულიანი ტყორცნიდან 10 მოათავსა კალათში და ამას 8-დან 8 საჯარიმოც მიაყოლა. ამასთან, ცინცაძეს 3 მოხსნა და 4 პასიც ჰქონდა — ის დამსახურებულად გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე.

ცინცაძის წინააღმდეგ თამაშობდნენ ლიტვის ნაკრების წევრები — ეურელიუს ჟუკაუსკასი, იონას მასიულისი, დარიუს სალენგა, პაულიუს იანკუნასი და, რა თქმა უნდა, გამოცდილი ამერიკელი ლეგიონერები, რომელთაგან მარკუს ბრაუნი მისი უშუალო კონკურენტი იყო. ბრაუნმა თამაში 15 ქულით, 1 მოხსნითა და 2 პასით დაასრულა.

„როკერებმა“ ბოლო მეოთხედი 11-ქულიანი ჩამორჩენით დაიწყეს, თუმცა ბოლო წუთებზე 7:0 გარღვევა მოაწყვეს და გამარჯვებაც ერთი ხელის გაწვდენაზე ჰქონდათ, მაგრამ... „ჟალგირისმა“ მშობლიური კედლების დახმარებით მაინც მოახერხა ვითარების გამოსწორება და საბოლოოდ 87:77 იმარჯვა.

„ჟალგირისამდე“ „როკერები“ ევროთასზე შეხვდნენ ბერძნულ პაოკ-ს და ისევ ცინცაძის დახმარებით, 90:80 მოიგეს. ქართველმა გამთამაშებელმა 36 წუთში 21 ქულა და 6 პასი მიითვალა, რაც თავის გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. ცინცაძეს ბომბარდირობა პაოკ-ის უგამოცდილესმა თურქმა ლეგიონერმა იბრაჰიმ ქუთლუიმ წაართვა, რომელმაც 22 ქულა მიითვალა.

### უკრაინა

ცინცაძეს არ ჩამორჩა „ბკ კიევში“ მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილი. „მანუმაც“ დიდი სამსახური გაუწია თავის გუნდს და გასული კვირის ორივე მატჩში იმარჯვა.

კიეველებმა ულებ-ის თასზე დრამატულ ბრძოლაში აჯობეს ბულგარულ „აკადემიკს“ — 85:84. მარკოიშვილმა 37 წუთში 13 ქულა მიუთვალა თავისიანებს, რასაც 3 მოხსნა და 2 პასიც მიაყოლა. კიეველებმა ამ გამარჯვებით ჯგუფის ლიდერობა გაიმყარეს, ხოლო მომდევნო ეტაპზე გასვლა წინა ტურში ჰქონდათ განაღდებული.

შაბათს კი კიეველებმა უკრაინის ჩემპიონატში „სუმი ხიმპრომი“ დაჯაბნეს — 87:66. ქართველმა უკანახაზელმა სულ რაღაც 25 წუთი მოანდომა 20 ქულის შეგროვებას, რაც კიევლთაგან საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისა ჯერ კიდევ ვერ მოერგო ახალ გუნდს — ის „არისში“ შედარებით მოკრძალებულია. მან გასულ კვირაში ევროლიგის პირველი საამსეზონო ქულები მოიპოვა: იტალიაში „მილანთან“ წაგებულ მატჩში 13 წუთში 3 ქულა მოინაგრა.

გუშინწინ გაცილებით მეტი ითამაშა ბოისამ. საბერძნეთის ჩემპიონატში „არისმა“ შინ პაოკ-ი დაამარცხა — საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 29 წუთი დაყო მოედანზე და 5 ქულასთან ერთად 3 მოხსნაც მიითვალა.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს თასი. თბილისი. 21-25 იანვარი

# ახლა თასის დროა

დღეს სპორტის სასახლეში საქართველოს თასის გათამაშება იწყება. ამ სახის ტურნირები ზოგადად ხანგრძლივი და მრავალი მატჩის მომცველია, თუმცა ამჯერად, ყველაფერი 4 დღეში მოთავდება. ეს ტურნირი იგივე ფორმატისაა, როგორიც 2 დღის წინ რუსთავში დასრულებული ქორქია-საკანდელიძის მემორიალი იყო. ის კი არა, გუნდებიც თითქმის იგივე თანმიმდევრობით არიან ჯგუფებში განაწილებულნი.

თასის მოქმედი მფლობელია „თბილავიამშენი“, რომელმაც შარშან, იანვარში, ფინალური ბრძოლა რუსთავის „ენერჯი-ინვესტს“ მოუგო. სავარაუდოდ, ახლაც იგივე ფინალი იქნება, რაკი „ავიატორებს“ ჯგუფში შედარებით სუსტი „დინამო“ და „მაკაბი“ ჰყავთ, ხოლო რუსთაველები გასულ პარასკევს ქორქია-საკანდელიძის თასზე დამარცხების გამო ძალიან მოტივირებულები არიან და ძნელად სავარაუდოა, რომ ჯგუფში პირველობა სხვას დაუთმონ.

A ჯგუფი
ავიამშენი
დინამო
მაკაბი
B ჯგუფი
ენერჯი-ინვესტი
თსუ
ვითა
21 იანვარი
ავიამშენი — დინამო 13:15
ენერჯი — ვითა 15:15
22 იანვარი
მაკაბი — დინამო 13:15
თსუ — ვითა 15:15
23 იანვარი
თსუ — ენერჯი 13:15
მაკაბი — ავიამშენი 15:15
24 იანვარი
ფინალი
A და B ჯგუფების გამარჯვებულები

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

18 იანვარი

**ტორონტო 89:78 ატლანტა**

ტორონტო: კალდერონი (13), პარკერი (18), მუნი (9), ბოში (35), ბარნანი (2); ჰამფრიზი (4), კაპონო (4), დიქსონი (2), გრემი (2), დელფინო, ნესტეროვიჩი

ატლანტა: ე. ჯონსონი, ჯ. ჯონსონი (25), მ. უილიამსი (13), სმიტი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), პორფორდი (8); ლუ (5), რაიტი (2), ჯონსი (1), ჩილდრესი, ლოუ, ვესტი

ფაჩულიას არ უთამაშია

**ვაშინგტონი 111:98 ნიუ იორკი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (35), ბატლერი (22)

ნიუ იორკი: რიჩარდსონი (21), კროუფორდი (19), კარი (17), რენდოლფი (16)

**მაიამი 91:98 პორტლენდი**

მაიამი: ვეიდი (37), ონილი (20 ქულა, 11 მოხსნა), დევისი (14)

პორტლენდი: როი (24), აუთლოო (18), ოლდრიჯი (14)

**ბოსტონი 116:89 ფილადელფია**

ბოსტონი: ალენი (23), პირსი (22), პაუსი (15), გარნეტი (11 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა)

ფილადელფია: იგუდალა (17), დალემბერტი (12 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 112:84 შარლოტი**

ნიუ ორლეანი: ვესტი (28), სტოიაკოვიჩი (17), პოლი (14 ქულა, 13 პასი)

შარლოტი: ოკაფორი (13), ვოლესი (12)

**მემფისი 124:100 სიეტლი**

მემფისი: მილერი (25), გასოლი (24 ქულა, 12 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება), ნავარო (21), ჯონსი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

სიეტლი: დურანტი (22), შჩერბიაკი (19)

**დეტროიტი 93:99 საკრამენტო**

დეტროიტი: ბილაფსი (28 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ჰამილტონი (24), პრინსი (15)

საკრამენტო: მარტინი (24), არტესტი (18), მილერი (17), ბიბი (16)

**ფინიქსი 115:95 მინესოტა**

ფინიქსი: სტუდემაიერი (23 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (20), ბარბოსა (19), მერიონი (18), ნეში (17 ქულა, 13 პასი)

მინესოტა: ჯეფერსონი (27 ქულა, 14 მოხსნა), მაკკანტსი (19), სმიტი (16)

**იუტა 106:88 კლიპერსი**

იუტა: ბუზერი (19 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (15)

კლიპერსი: მაგეტი (20), კამანი (16 ქულა, 16 მოხსნა), კასელი (16)

**ჩიკაგო 111:119 გოლდენ სტეიტი**

ჩიკაგო: გორდონი (29), ნოჩიონი (28), დენგი (17 ქულა, 12 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: დევისი (40), ჯეკსონი (24), ელისი (23)

19 იანვარი

**ჰიუსტონი 83:81 სან ანტონიო**

ჰიუსტონი: მინი (21 ქულა, 14 მოხსნა), ალსტონი (16)

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 17 მოხსნა), ჯინობილი (21), პარკერი (16)

**მაიამი 84:88 ნიუ იორკი**

მაიამი: ვეიდი (22), ჰასლემი (11), ონილი (10)

ნიუ იორკი: კროუფორდი (22), რობინსონი (19), რენდოლფი (16 ქულა, 14 მოხსნა), ლი (15)

**ჩიკაგო 97:81 დეტროიტი**

ჩიკაგო: გორდონი (33), ნოჩიონი (21)

დეტროიტი: ბილაფსი (27), ჰამილტონი (15)

**დალასი 111:96 სიეტლი**

დალასი: ნოვიცკი (20), ჰარისი (17), ჰოვარდი (17), ტერი (15)

სიეტლი: შჩერბიაკი (26), კოლისონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ორლანდო 101:94 პორტლენდი**

ორლანდო: თურქოღლუ (20), ლუისი (16), ევანსი (15), ჰოვარდი (10 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება)

პორტლენდი: როი (25), აუთლოო (22)

**ინდიანა 104:100 საკრამენტო**

ინდიანა: გრეინჯერი (26), რაში (22), გრემი (15), დანლივი (15)

საკრამენტო: მური (22 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (20), უდრიჰი (20), არტესტი (15)

**შარლოტი 105:87 მემფისი**

შარლოტი: რიჩარდსონი (34 ქულა, 14 მოხსნა), ვოლესი (28 ქულა, 7 მოხსნა, 7 ჩაჭრა, 6 პასი)

მემფისი: გასოლი (28), ნავარო (21), გაი (17)

**ფილადელფია 99:95 ტორონტო**

ფილადელფია: გრინი (23), მილერი (20), იგუდალა (20), დალემბერტი (14 ქულა, 13 მოხსნა)

ტორონტო: ბოში (25), დოკსონი (18), მუნი (17)

**მილუოკი 99:119 გოლდენ სტეიტი**

მილუოკი: რედი (24), ბოგუტი (21 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (19)

გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (27), ბიედრინსი (20 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (19)

**დენვერი 111:108 მინესოტა**

დენვერი: აივერსონი (35), ენტონი (26 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (12 ქულა, 13 მოხსნა)

მინესოტა: მაკკანტსი (23), ჯეფერსონი (20 ქულა, 16 მოხსნა), გომესი (20), იარიჩი (15)

**კლიპერსი 120:107 ნიუ ჯერსი**

კლიპერსი: მაგეტი (31), ტორონტო (22), კასელი (22), მობლი (19)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (21), კარტერი (20), ბუნი (17 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (17), კიდი (10 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)



შაკილ ონილის „მაიამიმ“ ზედიზედ 13 თამაში წააგო

# ქართულად დანახული ევროხელბურთი



### საქართველო 28:27 ლუქსემბურგი

**საქართველო:** თევზაძე, ანდრიაძე, ჭანტურია (4), ქობელაშვილი, ყიფიანი, რუსია (7), წივწივაძე (3), დათუკაშვილი (10), მსხვილიძე (4), ტალახაძე, ბერძენიშვილი, გოგალაძე, მაისურაძე, ჩიქოვანი
**მწვრთნელი:** იმედო ფხაკაძე

**გუშინ** ნორვეგიის ქალაქ დრამენში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა „ჩელენჯ-ტროფის“ ფინალური დაპირისპირება ლუქსემბურგს კინკილა ქულით, 28:27 მოუგო და დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ეს ტურნირი მეორე ეშელონის ნაკრებებისთვის არის განკუთვნილი და დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ჯილდო მაინც მნიშვნელოვანია და ვერც ტურნირის ნაკლებ პრესტიჟულობა მიაყენებს ამ გამარჯვებას ჩრდილს. ნაკრებმა „ჩელენჯ-ტროფის“ მოგება ალალად დაიმსახურა, თბილისში ჯგუფური ეტაპის დაძლევის მერე ლუქსემბურგთან გვარიანად კი გვანერვიულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიაღწია დასახულ მიზანს...

თამაშში ანგარიში ჩვენებმა გახსნეს, თუმც მეტოქე მალევე გამოფხიზლდა და სამი ბურთითაც გაიქცა. ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ, რაც შედეგშიც აისახა. მთელი პირველი ტაიმი მდევრის როლში იყვნენ. ტემპი დაბალი იყო, ორივე გუნდი ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა და გოლების გატანა ჭირდა. ამ ჯუჯა ქვეყანამ ტაიმის ბოლომდე მიახლოების საშუალება არ მოგვცა. თუმც შესვენებამდე 2 წუთით ადრე ლეგიონერთა ძალისხმევით დავწინაურდით, ჯერ რუსიამ გაათანაბრა (11:11) მერე კი რევაზ ჭანტურიამ წინ წაგვწია — 12:11. ბოლო წამებზე გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და როცა შესვენება დაიწყო, 13:12 იყო ჩვენს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი უფრო თვალსასეირო გამოდგა. ჩვენებმა ნერვიულობა გასახდელში დატოვეს, დაცვაში თამაში გამოასწორეს და მეტოქეს მიახლოვების საშუალება აღარ მისცეს. თუ საწყის წუთებში ლუქსემბურგი ასე თუ ისე სხვაობას ინარჩუნებდა, მერე და მერე გაუჭირდა და 34-ე წუთზე სამი ბურთით დავწინაურდით — 16:13. გოლი ბუნდესლიგელმა დათუკაშვილმა გაიტანა, ვინც მთელი თამაში ნაკრების სული და გული იყო და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ამის მერე ჩვენები საკმაო ხანს 3-4 ბურთს იგებდნენ და იგრძნობოდა, რომ სიტუაციას აკონტროლებდნენ. მეტოქე ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ ანგარიშის შემცირებას ვერ ახერხებდა. მეტიც, 7 წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე ხუთი ბურთით, კიდევ ორ წუთში კი სულაც ყველაზე დიდი სხვაობით, ექვსი გოლით გავიქეცით და ის იყო, კაცი იფიქრებდა, რომ თამაში დამთავრდაო და... ჩვენებმა ყველაფერი აურიეს, მეტოქეს თამაშის სადავეები გადაულოცეს, მიჯრით უამრავი შეცდომა დაუშვეს და ბოლო წამებზე ქართველ ქომაგს ნერვები აგლეჯინეს. ნაკრების თავკაცმა იმედო ფხაკაძემ ორი წუთშესვენებაც აიღო, მაგრამ... გოლები მაინც მეტოქეს გაჰქონდა. მსაჯის საფინალო სასტვენმა სულზე მოგვისწრო და 28:27 მოვაგებინა..

ახლა მთავარია, კარგად დაწყებული საქმე კარგად გაგრძელდეს, ნაკრებმა სრულფასოვანი მომზადება გაიაროს და საშემოდგომო ევროშესარჩევის თამაშებს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. ამ ბიჭებს თუ ხელშეწყობა ექნებათ, უფრო დიდი წარმატებებიც მოვა. რადგან მათ ნიჭი, მონდომება, და შრომის უნარი არ აკლიათ და ისიც იციან, როგორ სჭირდება დღეს საქართველოს მათი ჯიგრიანი თამაში და გამარჯვებები!

ნამატჩევს ნორვეგიაში ჩვენებს შევეხმიანეთ და ნაკრების თავკაც იმედო ფხაკაძეს და საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულ სერგო დათუკაშვილს ვესაუბრეთ.

*იმედო ფხაკაძე:* თამაში კი წავიყვანეთ, მაგრამ მეტოქე მალევე გაგვექცა, რადგან ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ. თავი იჩინა დაღლილობამაც, ზოგმა ადაპტაციის პრობლემა ვერ დაძლია. ბოლოს ექვსი ბურთით რომ დავწინაურდით, ყველაფერი დამთავრებულად ჩავთვალეთ და ამის გამო მერე ნერვიულობა მოგვიწია, მაგრამ არა უშავს, მთავარია, მოვიგეთ და თასი დავისაკუთრეთ. ახლა მზადება უკვე ევროშესარჩევის თამაშებისთვის უნდა გაგრძელდეს.

*სერგო დათუკაშვილი:* ასეთ გარემოში გამოსვლას ნაკრები მიუჩვეველია, თან თამაში არ წაგვივიდა და პრობლემები შეგვექმნა. ბოლოს ლუქსემბურგი მაგრად მოგვაწვა, პრესინგი გვეთამაშა და ძალიან გაგვიჭირდა, თუმც მთავარია, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ვიმარჯვეთ. ისე, ეს თამაში ჩვენი მაქსიმუმი არ იყო, ბევრად მეტი შეგვიძლია.

**ლექსო მაისურაძე**

## კაცთა ევროპის ჩემპიონატი ნორვეგია. 17-27 იანვარი

### პირველი ჯგუფური ეტაპის მეორე ტური

**A ჯგუფი**

ხორვატია 29:25 ჩეხეთი
პოლონეთი 33:27 სლოვენია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 0 | 0 | 59:52 | 4 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 60:59 | 2 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 61:65 | 2 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 2 | 57:63 | 0 |

**B ჯგუფი**

ნორვეგია 32:21 რუსეთი
დანია 32:24 ჩერნოგორია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 59:47 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 58:51 | 2 |
| ჩერნოგორია | 0 | 1 | 1 | 49:57 | 1 |
| რუსეთი | 0 | 1 | 1 | 46:57 | 1 |

**C ჯგუფი**

გერმანია 28:24 უნგრეთი
ესპანეთი 36:31 ბელარუსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 62:50 | 4 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 58:54 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 1 | 64:66 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 57:70 | 2 |

**D ჯგუფი**

ისლანდია 28:22 სლოვაკეთი
საფრანგეთი 28:24 შვედეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 60:55 | 4 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 48:47 | 2 |
| ისლანდია | 1 | 0 | 1 | 47:46 | 2 |
| სლოვაკეთი | 0 | 0 | 2 | 53:60 | 0 |



# კარგი ამბები იანვრის ბაშოდან
## კოკაი და ტოჩინოშინი ლუფილად იგებენ

**შესანიშნავად** ჭიდაობს წლის პირველ ბაშოზე ქართველი გოლიათი ლევან ცაგურია. გასულ უქმეებზე კოკაიმ კიდევ ორი გამარჯვება მიითვალა და ახლა მას ექვსი მოგება აქვს ორი მარცხის წილ.

შაბათს ქართველმა სეკიტორიმ, ვისაც ამ წუთისთვის მეცხრე მაეგაშირას ტიტული აქვს, რანგით ოდნავ მაღლა მდგომი, მერვე მაეგაშირა ტოოჰიბი გადააგდო დოჰიოდან, ხოლო კვირას მეექვსე მაეგაშირას, ბარუტოს აჯობა. დარჩენილ შვიდ ორთაბრძოლაში კოკაის ორი მოგებაღა სჭირდება მინიმალური დადებითი ბალანსის მოსაპოვებლად და რეიტინგში წინ წასაწევად, თუმცა, იმედია, „შავი ზღვა“ ამას არ დასჯერდება და უფრო მეტსაც შეძლებს.

დღეს კოკაი მე-12 მაეგაშირა ტოსანოუმის ხვდება, ვისაც მხოლოდ ერთი მოგება აქვს და ფავორიტად, ბუნებრივია, ქართველი მიიჩნევა.

უმაღლეს დივიზიონ მაკუჩიში კვლავაც ერთპიროვნულად, რვა ორთაბრძოლაში მოპოვებული რვა გამარჯვებით ლიდერობს მონღოლი იოკოძუნა ჰაკუხო, ვისაც შვიდ-შვიდი მოგებით კვალში უდგანან მეორე მონღოლი, სახელოვანი იოკოძუნა ასასორიუ და დასავლეთის მეათე მაეგაშირა კუოკუტენჰო. ამათ უკან კი ექვსმოგებიან სუმოისტთა ჯგუფია, რომელშიც კოკაის გარდა კომოსუბი კოტოშოგიკუ და რიგითი მაეგაშირები ფუტენო, ტაკეკაძე, კაკურიუ და ასასეკირიუ შედიან.

რანგით დაბალ დივიზიონ ძურიოში კოკაის დარად წარმატებით ასპარეზობს მეორე ქართველი ლევან გორგაძე, ვისაც რვა ორთაბრძოლის შემდეგ ასევე ექვსი მოგება აქვს. შაბათს ტოჩინოშინმა შირონონამი დაჯაბნა, კვირას კი ასოფუჯი დაამარცხა.

დივიზიონში შვიდი გამარჯვებით კიტატაიკაი ლიდერობს, ხოლო ექვს-ექვსი ქულა ტოჩინოშინთან ერთად კიტაბარუკას, ტამავაშის, საკაიძავასა და ჰოშიჰიკარის აქვთ.







# ფალავანთა თბილისური ამქარი

**26-27 იანვარს** სპორტის სასახლეში თბილისის მსოფლიოს თასი გაიმართება. ამ ტურნირის პრიზიორები ოლიმპიადის ლიცენზიისთვის საჭირო ქულებს მიიღებენ. ჩვენი ნაკრები თითო წონაში ოთხი მოჭიდავით წარდგება. მეტწილად, ეს ოთხეულები დეკემბერში გამართული საქართველოს ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარეა დაკომპლექტებული. საქმე ისაა, რომ ნესტორ ხერგიანმა (60 კგ), დავით ქევხიშვილმა (73), ირაკლი ცირეკიძემ (90), ლომერ ჟორჟოლიანმა (100) და ლაშა გუჯეჯიანმა (+100) ბრაზილიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოიპოვეს ოლიმპიადის საგზურები, მაგრამ სამი მათგანი — ცირეკიძე, ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი — თბილისის ტურნირს მაინც იჭიდავებენ. ტატამს დაუბრუნდება ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურიც.

ამჟამად ნაკრები თბილისში შეკრებას გადის. საბოლოო შემადგენლობაც უკვე დასახელებულია და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს სახელს თვის ბოლოს თბილისურ ტატამზე ეს ბიჭები დაიცავენ:

**60 კგ**
ვახტანგ ხოსიტაშვილი
ბეთქილ შუკვანი
უშანგი კუზანაშვილი
ამირან პაპინაშვილი

**66 კგ**
ზაზა კედელაშვილი
უჩა ხუციშვილი
დავით ასუმბანი
სანდრო იაკობაშვილი

**73 კგ**
თენგიზ პაპოშვილი
დათო კუპრაშვილი
კახა მამულაშვილი
ზურაბ დილებაშვილი

**81 კგ**
გიორგი ბაინდურაშვილი
გრიგოლ შინჯიკაშვილი
გრიგოლ მამრიკიშვილი
საბა გავაშელიშვილი

**90 კგ**
ირაკლი ცირეკიძე
ზურაბ ზვიადაური
ბესო ტყემალაძე
ვალერი ლიპარტელიანი

**100 კგ**
ლომერ ჟორჟოლიანი
ლევან რაზმაძე
გიორგი ყიზილაშვილი
მინდია ბოდაველი

**+100 კგ**
ლაშა გუჯეჯიანი
ადამ ოქრუაშვილი
ზვიად ჩინჩალაძე
ზვიად ხანჯალიაშვილი

**ზურაბ მიგრიაული**

## ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

19 იანვარი

### კაცები
### მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:7 7:6 5:7 6:1 10:8; ტომაშ ბერდიხი (13, ჩეხეთი) — ხუან მონაკო (21, არგენტინა) 3:6 6:3 7:6 6:2; ჯეიმს ბლეიკი (12, აშშ) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 4:6 2:6 6:0 7:6 6:2; მარინ ჩილიჩი (ხორვატია) — ფერნანდო გონსალესი (7, ჩილე) 6:2 6:7 6:3 6:1; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 6:3 6:1 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (19, ავსტრალია) — მარკოს ბაღდატისი (15, კვიპროსი) 4:6 7:5 7:5 6:7 6:3

### ქალები
### მესამე წრე

ვინუს უილიამსი (8, აშშ) — სანია მირზა (31, ინდოეთი) 7:6 6:4; ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) — კატარინა სრებოტნიკი (28, სლოვენია) 6:3 6:4; მარია კირილენკო (27, რუსეთი) — ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) 6:7 6:1 6:2; აგნეშკა რადვანსკა (29, პოლონეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:3 6:4

20 იანვარი

### კაცები
### მესამე წრე

ხუან-კარლოს ფერერო (22, გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (10, არგენტინა) 4:6 7:5 6:4 6:1; დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:3 6:3 6:2

### მეოთხე წრე

ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:2 6:7 7:6 6:3; მიხაილ იუჟნი (14, რუსეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:6 6:3 6:1; იარკო ნიემინენი (24, ფინეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (29, გერმანია) 3:6 7:6 7:6 6:3; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (23, საფრანგეთი) 6:4 3:0 (უარი)

### ქალები
### მესამე წრე

მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) — ნა ლი (24, ჩინეთი) 2:6 6:2 6:4; კაროლინ ვოზნიაკი (დანია) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 4:6 6:4 6:3; დანიელა ჰანტუხოვა (9, სლოვაკეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2 6:3; ნადია პეტროვა (14, რუსეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:1 7:6

### ქალები
### მეოთხე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ოსუ-ვი ჰსი (ტაივანი) 6:2 6:2; მარია შარაპოვა (5, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (11, რუსეთი) 6:2 6:0; სერენა უილიამსი (7, აშშ) — ნიკოლ ვაიდიშოვა (12, ჩეხეთი) 6:3 6:4; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) - კეისი დელაკუა (ავსტრალია) 7:5 6:1


ლეიტონ ჰიუიტი

# ჯერარნახულად დაღლილი როჯერი

## თამაში დილამდე: ასრულებენ ჰიუიტი და ბაღდატისი

საკმაოდ უღიმღამო დასაწყისის შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობა ამ უქმეებზე უბრალოდ აფეთქდა — ბოლო ორ დღეში მელბურნ-პარკის კორტებზე ლამაზი ჩოგბურთის და ხმაურიანი სენსაციების ისეთი კორიანტელი დადგა, რომ ძნელიცაა, რომელიმეს ამორჩევა. ამიტომაც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

დიდი ამბები უკვე პარასკევს დაიწყო, როცა საღამოს მატჩში ტურნირის პირველი დიდი მოულოდნელობა აღინიშნა — ფილიპ კოლშრაიბერმა ოთხსაათიან და ხუთსეტიან შეხვედრაში ენდი როდიკი შეარცხვინა და ამერიკელს დაგეგმილზე გაცილებით ადრე ჩაალაგებინა ჩემოდნები. ავსტრალიიდან ამდენად ადრეულ ეტაპზე როდიკი მხოლოდ 2002 წელს, ანუ მწვანე კონტინენტზე თავისი დებიუტისას გავარდა. იანკის ვერც იმან უშველა, რომ თავისთვის სარეკორდო 42 ეისი მოაწოდა. გერმანელმა სხვა ყველა კომპონენტში აშკარად დაჯაბნა ენდი-ბოი და სამართლიანადაც იმარჯვა. სამაგიეროდ, როდიკი თუ თამაშით ვერა, ცუდი მანერებით გამოირჩა — ჯერ იყო და მესამე სეტის ტაიბრეიკზე წაგების შემდეგ ჩოგანი კორტზე დაჩეჩქა, რისთვისაც 500 დოლარით დააჯარიმეს, მერე კი მსაჯს გადასწვდა და იდიოტიც უწოდა (ამაზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას რეაქცია ჯერ არ ჰქონია, მაგრამ ამერიკელი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მკაცრად დაისჯება).

ვინ წარმოიდგენდა, რომ როდიკის ავსტრალიიდან გასტუმრება მხოლოდ პრელუდია იქნებოდა იმ მოვლენებისა, რაც შაბათ-კვირას დატრიალდა.

როჯერ ფედერერის თამაშით დავიწყოთ, რომელმაც იანკო ტიპსარევიჩთან შეხვედრაში ბეწვის ხიდზე გაიარა. მატჩში, რომელშიც ალპელისგან ყველა იოლ გამარჯვებას ელოდა, „მხიარულმა როჯერმა“ რამდენიმე ისეთი პირადი რეკორდი დაამყარა, რომლებზეც უარს სიამოვნებით იტყოდა. კერძოდ, სლემტურნირებზე მას აქამდე მხოლოდ ერთხელ მოუწია ამდენი გეიმის (63) თამაში და მეხუთე სეტი ყველაზე ხანგრძლივი იყო მის კარიერაში (აქამდე ყველაზე ხანგრძლივი 9:7 მორჩა).

არადა, თამაშის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ მატჩი ასე გაიწელობოდა. ფედერერს ხომ ავსტრალიაში ზედიზედ 17 მატჩი მოეგო სეტწაუგებლად (ბოლო პარტია 2006 წლის ფინალში დათმო მარკოს ბაღდატისთან), წლეულს კი პირველ ორ შეხვედრაში მხოლოდ 6 გეიმი დაეთმო. მაგრამ ტიპსარევიჩი არც დიეგო ჰარტფილდივით უთავმოყვარეო აღმოჩნდა და არც ფაბრის სანტოროსავით აპირებდა წინდაწინ თეთრი დროშის გამოფენას. იგი ოდნავადაც არ შეუშინდა ფედერერის სახელს და თანამედროვეობის უდავო პირველკაცთან თავიდანვე მოსაგებად გავიდა. ფედერერი კი ამისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. დიადი ალპელი აშკარად დააბნია მეტოქის სითამამემ და გარკვეულმა სითავხედემაც. შვეიცარიელი უპირველესად ფსიქოლოგიურად არ იყო მომზადებული თანაბარი ჯახისთვის და ნაწილობრივ ამითაც აიხსნება მისი დაბნეულობა.

მატჩი დაუჯერებელი სცენარით ვითარდებოდა. ტიპსარევიჩმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ ბევრმა გაიფიქრა, ფედერერი ახლა მაინც ათამაშდება და სერბის გატეხვა მხოლოდ დროის ამბავიაო. თუმც დრო გადიოდა, ბალკანელი კი არც ტემპს აგდებდა და დაღლილობაც არ ეტყობოდა. ჰოდა, სანამ ფედერერი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეტოქე ერთი გოჯითაც არ იყო უკან დამხევი, სეტებში უკვე 2:1-ს აგებდა.

შვეიცარიელი აქ უკვე მართლა გამწარდა და მეოთხე პარტია პირწმინდად მოიგო. თუმც, როგორც მერე გამოჩნდა, ტიპსარევიჩს თავი შეენახა და ალპელს უბრალოდ ორთქლი გამოაშვებინა. მეხუთე სეტში ისევ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, სადაც კარგა ხანს მოწოდებას არც ერთი მეტოქე არ თმობდა. აქ „მხიარული როჯერის“ ბევრ გულშემატკივარს სანერვიულო მოემატა, რადგანაც ფედერერს მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად, ერთი სერიოზული ნაკლი აქვს — მას ძალიან უჭირს ხუთსეტიანი მატჩების მოგება. თუმც ფედერერი რისი ფედერერია, გამოსავალი ვერ ნახოს. საჭირო მომენტში მას ყოველთვის შეუძლია დამატებითი რეზერვის გამონახვა — ამ შეხვედრაში ასეთად მისი მოწოდება იქცა და თავისთვის სარეკორდოდ, 39-ჯერ ჩააეისა.

მატჩის ბედი ალპელმა მაშინ გადაწყვიტა, როცა ტიპსარევიჩი ამას ყველაზე ნაკლებად ელოდა. მეხუთე სეტის მეჩვიდმეტე გეიმში სერბს 40:0 მიჰყავდა, მაგრამ როჯერმა ეს ჩამორჩენა ამოქაჩა და გადამწყვეტი ბრეიკიც გააკეთა.

„ახლა შვებას კი არა, სიხარულს ვგრძნობ. სიხარულს, რომ ასეთი ლამაზი შეხვედრის მოგება შევძელი. ხუთსეტიანი მატჩების ჩატარება არცთუ ხშირად მიწევს და ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით“ — მოკლედ მოჭრა ნამატჩევს ფედერერმა.

ამ მართლაც ულამაზეს მატჩს კიდევ ერთი ტრილერი მოჰყვა, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის ისტორიაში აუცილებლად შევა. ლეიტონ ჰიუიტმა და მარკოს ბაღდატისმა ულამაზესი სანახაობა დადგეს, რომელიც ასევე ხუთ სეტს გაგრძელდა და რომლის გამარჯვებულის ვინაობაც 4 საათისა და 45 წუთის თავზე გაირკვა.

წესით, ეს მატჩი კვირისთვის უნდა გადაეტანათ, მაგრამ ორგანიზატორებმა თავისი [illegible] ჩვეულებას უღალატეს და მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი დროით 11.00 საათზე მეტი იყო, ჩოგბურთელები კორტზე მიიწვიეს. შედეგად, მატჩი მელბურნის დროით დილის ხუთი საათისთვის დასრულდა, რაც პირველობის აბსოლუტური რეკორდია. ნამატჩევს ჰიუიტი ხუმრობდა, სახლში სწორედ იმ დროს მივალ, როცა ჩემი ორი წლის შვილი იღვიძებს და ამიტომ დასვენების წინ მასთან თამაშსაც მოვასწრებო.

ასეთი გვიანი დროის მიუხედავად, როდ ლეივერის სახელობის კორტის ტრიბუნებზე შეკრებილი 15 000-მდე ავსტრალიელი თავის კერპს ბოლომდე გულმხურვალედ გულშემატკივრობდა.

ისე, ჰიუიტს უფრო ადრიანადაც შეეძლო საქმის მოთავება, როცა მეოთხე სეტში 5:1 წინ იყო და მატჩ-პოინტიც ჰქონდა. თუმც ბაღდატისმა შეძლო ოზის დაწევა და თამაში მეხუთე პარტიაში გადაიყვანა, სადაც ჰიუიტი უკეთ გამოიყურებოდა და გამარჯვებაც სწორედ მას დარჩა. ამის მიუხედავად, ავსტრალიელმა მხოლოდ მეხუთე მატჩ-პოინტზე გატეხა ჯიუტი კვიპროსელი.

მეოთხე წრეში ჰიუიტს კიდევ უფრო რთული გამოცდა ელის ნოვაკ ჯოკოვიჩის სახით, რომელიც აქამდე სრულიად ნერვაუშლელად მოვიდა. ფედერერს კი მეოთხედფინალის გზას ტომაშ ბერდიხი ულობავს.

ძალიან საინტერესო უნდა იყოს ესპანური დერბი დავიდ ფერერისა და ხუან-კარლოს ფერეროს შორის. ჩვენ ეს უკანასკნელი გამოვყოთ, რომელიც დიდებულად გამოიყურება და გუშინ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი დავიდ ნალბანდიანი ადვილად გაანადგურა.

ტურნირის მთავარი აღმოჩენა კი უდავოდ მარინ ჩილიჩია, რომელმაც შარშანდელი ფინალისტი ფერნანდო გონსალესი ძალიან დამაჯერებლად დასცა და იგივეს უპირებს სებასტიან გროჟანთან ხუთსეტიანი ბატალიით გადაღლილ ჯეიმს ბლეიკს.

სენსაციები არც ქალთა ბადეს აკლდა. მელბურნიდან დაიფრინეს ფავორიტთა კოჰორტის ორი რუსი წარმომადგენელი — სვეტლანა კუზნეცოვა და ანა ჩაკვეტაძე. პირველი აგნეშკა რადვანსკამ მიიგნა, რომელსაც ამ ბოლო დროს დასჩემდა რუსი ბობოლების გამწარება. შეგახსენებთ, რომ გასულ აგვისტოში აშშ-ს ღია პირველობაზე სწორედ ამ პოლონელმა მოუგო მარია შარაპოვას. ჩაკვეტაძე კი კიდევ ერთმა რუსმა, მარია კირილენკომ დაჯაბნა.

რახან შარაპოვა ვახსენეთ, მისივე ამბებით გავაგრძელოთ — მაშამ გუშინ კიდევ ერთი შთამბეჭდავი წარმოდგენა გამართა და ელენა დემენტიევას გადაურბინა, რითაც მეოთხედფინალში ჟუსტინ ენინთან დუელი გაინაღდა. ეს კი მართლაც ტიტანთა ჯახი უნდა გამოდგეს, რადგანაც ერთიც და მეორეც დიდებულ ფორმაში არიან. აკი, ბევრი ამ დაპირისპირებას ნაადრევ ფინალს ეძახის.

კიდევ ერთ მეოთხედფინალში მოქმედი ჩემპიონი სერენა უილიამსი ნელ-ნელა ფორმააკრეფილ ელენა იანკოვიჩს დაეტაკება.

**კახა ლომაშვილი**


აგნეშკა რადვანსკა




# ბოზის სიკვდილი

გასულ კვირაში ბობი ფიშერი გარდაიცვალა, მსოფლიოს უკანასკნელი ნამდვილი გენიოსი. ის ცხოვრობდა მსოფლიოს უცივეს ქვეყანაში, რადგან თბილმა ქვეყნებმა თავისთან ცხოვრების უფლება არ მისცეს.

1992 წლიდან მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ჩემპიონი ჭადრაკში ძებნილი იყო, ვინაიდან საერთაშორისო აკრძალვების მიუხედავად, იუგოსლავიაში ჩავიდა და ბორის სპასკისთან ერთად თავიანთი ნამდვილი ფინალის სახალისო ვარიანტი გაითამაშა ოცი წლის თავზე. მაშინ, პრესკონფერენციაზე ფიშერმა სახალხოდ დააფურთხა ამერიკულ ფაქსს, რომელიც მას საერთაშორისო აკრძალვაზე მიანიშნებდა.

ბოლოს იაპონიაში დაიჭირეს, როგორც ძებნილი, მაგრამ მოლაპარაკებათა შემდგომ შტატებში არ დაუბრუნებიათ. მისი მიღების სურვილი ერთადერთმა ქვეყანამ, ისლანდიამ გამოთქვა. სწორედ ისლანდიაში გახდა ის მსოფლიო ჩემპიონი და სწორედ იქ ჰყავდა ერთადერთი ძველი მეგობარი, პოლიციელი, რომელსაც ოდესღაც ქუჩაში სეირნობისას გადააწყდა.

სამ ათეულ წელიწადზე მეტი იყო, რაც ბობი ფიშერი ჭადრაკს სახალხოდ აღარ თამაშობდა. ერთხანს მეორედმოსვლას ელოდა, მერე, პასადენში ბანდიტად მიიღეს და ღამით კამერაში აყურყუტეს, მერე რადიკალურ რამეებს ამბობდა ამერიკის შესახებ. მოკლედ, ნამდვილი ამერიკელი გენიოსი იყო.

ახლა ძალიან სასაცილო იქნებოდა, მის ჭადრაკზე მე მელაპარაკა. ხშირად ისე ხდებოდა, რომ მოჭადრაკენი მორალურადაც ნადგურდებოდნენ, მასთან თამაშის შემდეგ. ფიშერმა იცოდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკენი საბჭოთა კავშირიდან იყვნენ და თავისი ტრიუმფისას სწორედ ისინი გაანადგურა: ტაიმანოვი, პეტროსიანი, სპასკი. ტაიმანოვს ამის შემდეგ ჯერ საბჭოთა სისტემის მსახვრალი ხელი მოხვდა, როგორ წააგეო, მერე კი ეგრეც ვერაფერი შეძლო. მსოფლიო ჩემპიონები პეტროსიანი და სპასკი მანდ დამთავრდნენ, როგორც ვარსკვლავები.

მერე ფიშერს სამ წელიწადს აღარ უთამაშია, კარპოვთან მატჩის მოახლოების კვალად კი პირობების წამოყენება დაიწყო. ეს ჩვეული იყო მისთვის. პარტიაზე არ მოვიდოდა, მაყურებელთა სკამების უკან გაწევას ბრძანებდა... ჰონორარი კიდევ სხვა.

ემანუელ ლასკერს მეორე წყვილი წინდა არ ჰქონდაო, ხუმრობდნენ. დღევანდელი მოჭადრაკეების სიმდიდრე კი სწორედ ბობი ფიშერის დამსახურებაა. თანაც, მან ჭადრაკი მსოფლიო საქმედ აქცია. ფიშერის ჭადრაკისა და ცხოვრების შესახებ უამრავი წიგნი დაუწერიათ.

არის ერთი იმათ შორის, რომელსაც ჰქვია: „ბობი ფიშერი ომში მიდის“.

ეს სათაური საუცხოოდ განმარტავს ამ გასაოცარი, უცნაური, ახირებული, სხვანაირად კი გენიალური კაცის ცხოვრებას.

როცა ბობი ფიშერი დაფას მიუჯდებოდა, დედამიწა განაბული იყო.

კარპოვთან სათამაშოდ არ წასულა.

და საერთოდ, ბოლო დროს ამბობდა, რომ ჭადრაკი უინტერესო გახდა და სულ სხვანაირად უნდა ითამაშო: ფიგურების უკანა რიგი ყველა ჯერზე სხვადასხვანაირად უნდა დალაგდეს.

ბობი ფიშერი იყო, იტყოდა, მაშ რა.

თან იცოდა, რომ ბობი ფიშერი იყო.

# კარლსენი ტოპებთან ტოპია

**17 წლის** მაგნუს კარლსენმა მეექვსე ტურში იუდიტ პოლგარს მოუგო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ნორვეგიელს გაპირველებაში მსოფლიოს ექსჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკიც დაეხმარა. მან თეთრებით ლევონ არონიანი დაამარცხა და სომეხი დიდოსტატი ნორვეგიელს ჩამოაშორა.

მომდევნო ტურში ვუნდერკინდი მსოფლიოს ექსჩემპიონ ვესელინ ტოპალოვს 56-ე სვლაზე დაუზავდა და 5 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა.

ბოლო ტურებში ბულგარელმა მდგომარეობა შედარებით გაიუმჯობესა. შეგახსენებთ, რომ სუპერტურნირის დაწყებამდე იგი ფავორიტად იყო მიჩნეული, თუმც ორი მარცხი განიცადა და ქვედა ადგილებს ჩაეხუტა. მეექვსე-მეშვიდე ტურებში იგი ცოტა გამოცოცხლდა, 1,5 ქულა აიღო და ახლა 3,5 ქულით მეხუთე-მეათე ადგილებს იყოფს.

ტოპალოვმა კარლსენთან შეხვედრა კლასიკური ე4-ით დაიწყო, მხედარ-კუ ცენტრში გამოუშვა და მე-5 სვლაზე როქი გააკეთა. ნორვეგიელმა ლაზიერის ფლანგიდან პაიკებით დაარტყა თეთრებს, რამდენიმე ფიგურა მოუკლა და გაცვლებს მიმართა. ტოპალოვმა შავების დაცვა იოლად გატეხა, კუ-ეტლის დუეტი საომრად დაქოქა და მეტოქის მეფეს მიუსია. კარლსენმა ტოპალოვის ზრახვები ამოიცნო, მანევრებს მიმართა და 56-ე სვლაზე ნახევარი ქულაც გადაარჩინა.

**ლუშა გეგეჭკორი**


მაგნუს კარლსენი

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

### VI ტური

| | | |
|---|---|---|
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | პაველ ელიანოვი (უკრაინა) |

### VII ტური

| | | |
|---|---|---|
| პაველ ელიანოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |

### სატურნირო ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მაგნუს კარლსენი | 5 | 8. ვიშვანათან ანანდი | 3,5 |
| 2. ლევონ არონიანი | 4,5 | 9. ლუკ ვან ველი | 3,5 |
| 3. ვლადიმირ კრამნიკი | 4,5 | 10. ვესელინ ტოპალოვი | 3,5 |
| 4. თეიმურ რაჯაბოვი | 4 | 11. იუდიტ პოლგარი | 3 |
| 5. მაიკლ ადამსი | 3,5 | 12. პეტერ ლეკო | 3 |
| 6. ვასილ ივანჩუკი | 3,5 | 13. პაველ ელიანოვი | 2 |
| 7. შაჰრიარ მამედიაროვი | 3,5 | 14. ბორის გელფანდი | 2 |




# 27 წამი მილიონამდე
## ჰაილე მაყრიონმა დააღალატა

**ჰაილე გებრსელასიე** ასაკის მიხედვით კარგა ხანია აღარ არის ახალგაზრდა, მაგრამ ასეთ ზეაქტიურ და რეაქტიულ სტაიერს ვეტერანსაც რომ ვერ უწოდებ?! სამი თვის წინ დიდმა ეთიოპიელმა მძლეოსანმა ბერლინის მარათონზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როცა 42,195 კილომეტრი 2 საათში, 4 წუთსა და 26 წამში გაირბინა. 18 იანვარს ის, როგორც სხვა არავინ, ისე მიუახლოვდა თავისივე რეკორდს, თითქმის შესწვდა კიდეც, მაგრამ დუბაიში გამართულ გრანდიოზულ და პომპეზურ მარათონზე „მხოლოდ“ 2:04.53 შედეგი აჩვენა და რეკორდამდე 27 წამი დააკლდა. ჰაილე და მის ქომაგთა ათასეულები თავს იმით ინუგეშებენ, რომ ეს მეორე შედეგია მსოფლიოში და ასეთი დროც კი სხვას არავის უჩვენებია.

არაბთა გაერთიანებული საემიროების ფინანსურ დედაქალაქ დუბაიში, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ფული ისე ყრია, როგორც იქაურ უდაბნოებში ქვიშა. ორგანიზატორებმა ეს მარათონული გარბენი ნამდვილ ზეიმად აქციეს და ჰაილეს გასაგონად თქვეს, თუკი ვინმე მსოფლიოს ახალ რეკორდს აჩუქებს, საბანკო ანგარიშზე მრგვალ მილიონს დავურიცხავთო. გებრსელასიეც გაემზადა, რამდენიმე ფეხმალი პეისმეიკერიც „მოიმარჯვა“ და თავიდანვე ისეთი ტემპი აიღო, მცოდნეებმა თვითმკვლელობის მცდელობად შეუფასეს. მორბენლებს ამინდიც გადასარევი შეხვდათ. სტარტის დროს 11 გრადუსი სითბო იყო (დუბაიშიც ზამთარია), ფინიშისთვის კი 14 გახლდათ და სპარსეთის უბიდანაც გრილი ბრიზი უგრილებდა 42 კილომეტრთან შეჭიდებულ მორბენლებს დაცვარულ შუბლს.

მიქროდნენ გებრსელასიე და მისი მაყრები. პირველი 10 კილომეტრი 28 წუთსა და 30 წამში დაფარეს, რაც 45 წამით ნაკლები აღმოჩნდა ჰაილეს ბერლინური რბენის გრაფიკზე. ამით ფრთაშესხმულმა მოლიდერე ჯგუფმა კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს და დისტანციის ნახევარი 61 წუთსა და 27 წამში გალია და 61 წამით გაასწრო რეკორდს. ჰაილეს მთელი დისტანცია ასეთ ტემპში რომ გაერბინა, 2 საათსა და 3 წუთში ჩაეტეოდა და ნამდვილი გმირის სახელსაც დაირტყამდა, მაგრამ მის გვერდითმყოფებმა ვერ გაუძლეს ამ გიჟურ სრბოლას და ერთმანეთის მიყოლებით ჩამორჩნენ რეკორდს და მილიონს გამოკიდებულ გებრსელასიეს — 30-კილომეტრიანი ნიშნულის ცოტა იქით მან უკანასკნელი „ხელისმომკიდეც“ დაკარგა და სულ მარტო დარჩა ფინიშამდე დაახლოებით 10 კილომეტრით ადრე. 35-კილომეტრიან ნიშნულთან ის კვლავ უსწრებდა რეკორდს, მაგრამ მხოლოდ 25 წამით და ასე, თანდათან სიჩქარედაკლებულს ხელიდან გაუფრინდა, უფრო ზუსტი ნათქვამი იქნება, ფეხიდან გამოეცალა ახალი რეკორდი და ზედაც მილიონი.

მაგრამ დუბაელებმა მაინც უხვად დაასაჩუქრეს რჩეული მორბენალი. გებრსელასიეს გამარჯვებისთვის 250 ათასი დოლარი ერგო.

კენიელმა აიზეკ მაჩარიამ (2:07.16) მეორე ადგილისთვის 100 ათასი მიიღო, ასევე კენიელ სამი კორისს (2:08.01) კი მესამე ადგილისთვის 50 ათასი შეხვდა. ათასები შეხვდათ მათაც, ვინც გარბენი ათეულში დაამთავრეს.

კაცთა პარალელურად, დუბაიში ქალთა გარბენიც გაიმართა და აქაც რიგიანი შედეგები აღინიშნა. სხვათა შორის, ქალებსაც ზუსტად იმდენი შეხვდათ, რამდენიც კაცებს. გამარჯვებულის სარგო მეოთხედი მილიონი გადასცეს ცნობილ ეთიოპიელ ქალ მარათონელს ბერჰანე ადერეს, ვინც ფინიში სტარტიდან 2 საათის, 22 წუთისა და 42 წამის შემდეგ გადაკვეთა.

**კოტე ყორშია**

# ლუის ჰემილტონი: მთელი ცხოვრება მაკლარენში



შარშანდელი სეზონი „მაკლარენ-მერსედესის“ შავკანიანი ინგლისელის, ლუის ჰემილტონისთვის, პირველი იყო მის საპირველფორმულო კარიერაში და კინაღამ პირველივე ცდაზე ჩემპიონი გახდა. ასეც მოხდებოდა, რომ არა წარმოუდგენელი უიღბლობა ჩემპიონატის დასკვნით ორ ეტაპზე და საბოლოოდ ჰემილტონმა პირველობა „ფერარელ“ ფინელ კიმი რაიკონენს დაუთმო, თვითონ კი ვიცეობას დასჯერდა.

ჰემილტონი „მაკების“ ბოსის, რონ დენისის ჯილა და ფავორიტია და გასულ უქმეებზე ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა — დენისმა 23 წლის მრბოლს კიდევ ხუთი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი, ანუ ლუისი „მაკლარენში“, მინიმუმ 2012 წლის ბოლომდე დარჩება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰემილტონი სულ ბავშვი იყო, როდესაც 1998 წელს „მაკლარენმა“ მას თვალი დაადგა და გუნდში აიყვანა, გამოვა, რომ ინგლისელისა და ინგლისური საჯინიბოს ურთიერთობა ახალი კონტრაქტის გათვალისწინებით, 15 წელს მიაღწევს, რაც, მართლაც წარმოუდგენელი ამბავია ფორმულა 1-ის სამყაროსთვის.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „მაკლარენმა“ კონტრაქტი გამიხანგრძლივა. 10 წელია, უკვე ამ გუნდში ვარ, ხუთი წელი კიდევ ვიქნები და საერთოდ, წინათგრძნობა მეუბნება, რომ მთელ ჩემს კარიერას „მაკლარენში“ გავატარებ — ამ გუნდს ხომ ყველაფრის მოგება შეუძლია, ჩემპიონატებისაც და კონსტრუქტორთა თასებისაც“ — განაცხადა ჰემილტონმა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ.

არანაკლებ კმაყოფილი იყო რონ დენისი: „დღეს ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჰემილტონთან თანამშრომლობას კიდევ დიდი ხნით ვაპირებთ. ეს ხელშეკრულება უნიკალური და სპორტში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივია. ყოველ შემთხვევაში, ფორმულა 1-ის სამყარომ არ იცის, რომ ერთი სპორტსმენი ერთ გუნდში 15 წელი ყოფილიყოს. ლუისი ბრწყინვალე ადამიანია და მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები ჩვენ სრულად გვაკმაყოფილებს“.

**ბახა ლომაძე**

# გულის გადანერგვა ნებადართულია

**ფორმულა 1-ის** სამყარო ახალ სეზონს ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით ხვდება — პილოტებს აღარ დააჯარიმებენ თავისუფალი პრაქტიკისას ძრავის შეცვლის გამო. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გუნდებს ნება დართო, საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ ბოლიდზე თითოჯერ შეცვალონ ძრავა და ამას აღარ მოჰყვება სასტარტო მწკრივში 10 პოზიციით დაბლა დაქვეითება.

ფია-ს პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ ჩემპიონატში მონაწილე თერთმეტივე გუნდს გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინება, თუმც, სანამ ამ ცვლილებას საავტომობილო სპორტის მსოფლიო საბჭო არ დაამტკიცებს, მას ოფიციალური ძალა არ ექნება.

სავარაუდოდ, საბჭო წინააღმდეგი არ იქნება და ფია-ს მიერ შემოთავაზებული სიახლის რატიფიცირებას, ალბათ, უახლოეს დღეებში მოახდენს.

**ბახა ლომაძე**

## აფროსნობა

# 57 დღე დედამიწის გარშემო

## ფრანსის ჟოიონმა ელენ მაკარტურის რეკორდი გააქრო



ძველი და ახალი რეკორდსმენები: ელენ მაკარტური და ფრანსის ჟოიონი

**მსოფლიოს** ახალი რეკორდსმენი ჰყავს იალქნიანი ნავით ეულ გარსაქვეყნო ცურვაში. ფრანგმა მეზღვაურმა ფრანსის ჟოიონმა დედამიწას ტრიმარანით ანუ სამკორპუსიანი მსუბუქი ნავით 57 დღეში, 13 საათსა და 34 წუთში შემოსცურა და მთელი ორი კვირით გააუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც 2005 წელს დაემყარებინა ინგლისელ მეზღვაურ ქალ ელენ მაკარტურს.

51 წლის ჟოიონმა თავისი სარეკორდო მოგზაურობა 2007 წლის 23 ნოემბერს ფრანგულ პორტ ბრესტიდან დაიწყო, ჩამოუარა აფრიკის სანაპიროებს, შემოსცურა კეთილი იმედის კონცხს, გადაჭრა ინდოეთის ოკეანე, ჩაუარა ავსტრალიას, გაცურა წყნარი ოკეანის სამხრეთი წყლები, გასცდა ჰორნის ქარიშხლიან კონცხს და ატლანტიკაზე ამოსულმა გუშინ, 20 იანვარს, ბრესტის პორტშივე დაასრულა ოდისეა. ელენ მაკარტურიც იქ, ბრესტში დახვდა. მუ ზღვის მგელმა ალალი კოცნით მიულოცა ახალ რეკორდსმენს, რომლის შედეგსაც ალბათ კარგა ხანი ვერავინ გააუმჯობესებს.

„არასდროს მქონია ოცნება, რომ გმირი გავმხდარიყავი და ამის გამო არ მიცურავია — ამბობდა ახალი რეკორდსმენი ცხელ კომენტარებში — მე ვცურავ იმის გამო, რომ მეზღვაური ვარ. მე პატივს ვცემ ზღვას და მე პატივს ვცემ ნავს.“

ამ ცურვის დროს ფრანგმა რამდენიმე მცირე რეკორდიც მიითვალა, კერძოდ: სარეკორდო დროში გადაცურა ინდოეთის ოკეანე, წყნარი ოკეანე და ასე შემდეგ.

**ბოტე ყორშია**

## ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

18 იანვარი

**კაროლინა 7:2 ედმონტონი**

*1:0 1:1 5:1*

1:0 ბრინდამორი (7), 1:1 ტორესენი (24), 2:1 გლისონი (36), 3:1 სტაალი (45), 4:1 სტაალი (50), 5:1 სამსონოვი (53), 6:1 ლაროუზი (53), 6:2 კოლიანო (55), 7:2 სტაალი (60)

**ნიუ ჯერსი 1:2 ფლორიდა**

*0:0 1:0 0:2*

1:0 ზუეჯაკი (22), 1:1 დვორჟაკი (43), 1:2 ბუტი (44)

**ბუფალო 10:1 ატლანტა**

*4:1 3:0 3:0*

1:0 პაი (2), 2:0 სტეფორდი (6), 3:0 როი (6), 4:0 როი (10), 4:1 სტიუარტი (11), 5:1 ხეხტი (26), 6:1 როი (35), 7:1 ვანეკი (40), 8:1 სტეფორდი (48), 9:1 სტეფორდი (52), 10:1 კოტალიკი (58)

**პიტსბურგი 0:3 ტამპა**

*0:2 0:0 0:1*

0:1 უონვიგი (5), 0:2 გრეტონი (11), 0:3 რუა (46)

**მინესოტა 2:4 ანაჰაიმი**

*0:1 2:2 0:1*

0:1 ბერტუსი (5), 0:2 პერი (25), 0:3 პრონგერი (27), 1:3 შულცი (31), 2:3 კოივუ (51), 2:4 ბერტუცი (50)

**კალგარი 6:1 ლოს ანჯელესი**

*2:0 3:1 1:0*

1:0 კონროი (8), 2:0 ლენგკოუ (11), 3:0 ლენგკოუ (32), 4:0 იელი (36), 4:1 არმსტრონგი (38), 5:1 ლომბარდი (40), 6:1 ლენგკოუ (43)

**კოლორადო 1:2 ჩიკაგო**

*1:1 0:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 კეინი (3), 1:1 ბრიუნე (9)

19 იანვარი

**ბოსტონი 4:3 რეინჯერსი**

*1:1 1:0 1:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 გომესი (7), 1:1 შტურმი (16), 2:1 კობასიუ (36), 2:2 იაგრი (44), 2:3 ევერი (49), 3:3 კობასიუ (50)

**სენტ ლუისი 2:5 ნეშვილი**

*1:2 0:3 1:0*

0:1 დიუმონი (7), 1:1 მაკდონალდი (11), 1:2 ლეგვანდი (16), 1:3 ნიკოლი (26), 1:4 არნოტი (36), 1:5 ნიკოლი (40), 2:5 ბოისი (52)

**დალასი 3:1 კოლუმბუსი**

*1:0 1:1 1:0*

1:0 მოროუ (13), 2:0 ბარნსი (31), 2:1 ჟერდევი (40), 3:1 ოტი (49)

**ოტავა 0:2 ტამპა**

*0:1 0:0 0:1*

0:1 სენ ლუი (18), 0:2 ლეკავალიე (60)

**მონრეალი 0:2 პიტსბურგი**

*0:1 0:0 0:1*

0:1 ტაფე (7), 0:2 მალკინი (60)

**ტორონტო 4:2 ბუფალო**

*1:0 2:1 1:1*

1:0 ანტროპოვი (3), 2:0 სტინი (21), 3:0 პონიკაროვსკი (23), 3:1 ხეხტი (34), 3:2 პაი (50), 4:2 ბლეიკი (54)

**აილენდერსი 3:5 ფილადელფია**

*3:1 0:2 0:2*

0:1 ჰარტნელი (6), 1:1 პარკი (6), 2:1 ვასიჩეკი (11), 3:1 გერინი (18), 3:2 დაუნი (26), 3:3 ჰარტნელი (33), 3:4 ჰარტნელი (41), 3:5 რიჩარდსი (53)

**ვაშინგტონი 5:3 ფლორიდა**

*3:0 1:3 1:0*

1:0 კოზლოვი (7), 2:0 ერსკინი (8), 3:0 კოზლოვი (12), 3:1 მატიასი (21), 3:2 მატიასი (25), 3:3 იოკინენი (31), 4:3 სიომინი (33), 5:3 ოვეჩკინი (45)

**ფინიქსი 1:2 ჩიკაგო**

*0:0 1:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 მიულერი (33), 1:1 სიბრუკი (36)

**ვანკუვერი 3:4 ლოს ანჯელესი**

*0:1 2:2 1:1*

0:1 ჯონსონი (9), 0:2 ტორნტონი (22), 0:3 ბრაუნი (27), 1:3 იზბისტერი (35), 2:3 ლინდენი (36), 2:4 ფროლოვი (53), 3:4 რეიმონდი (56)

**სან ხოსე 3:6 დეტროიტი**

*0:1 2:4 1:1*

0:1 ზეტერბერგი (7), 0:2 დრეიპერი (21), 1:2 სეტოგუჩი (22), 2:2 ჩირუ (28), 2:3 კრონვალი (30), 2:4 ლიდსტრომი (34), 2:5 ჰოლმსტრომი (36), 3:5 ბერნიე (41), 3:6 კლირი (49)

## რაგბი

# ნაკლული ლელო და 42 პორტუგალიელი

**2 თებერვალს** თბილისში საქართველოს ნაკრები „ერთა თასის“ მორიგ შეხვედრაში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუხვდება. ეს მატჩი, თავის დროზე, ორჯერ გადაიდო. მას შემდეგ ჩვენს „ლელოებს“ მთავარი მწვრთნელიც შეეცვალა. ახალი თავკაცი ავსტრალიელი ტიმ ლეინი გახლავთ, ვისაც ასისტენტობას ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე გაუწევენ.

ტიმ ლეინი თბილისს 27 იანვარს ეწვევა და ამავე დღეს გააფორმებს კონტრაქტს საქართველოს რაგბის კავშირთან. იგი ყოველთვიურად, ხელფასის სახით, 10 000 ევროს მიიღებს, მაგრამ მის კონტრაქტს ყოველწლიურად გადახედავენ და ცვლილებები შედეგების ადეკვატური იქნება.

ერთ სამწუხარო ფაქტზეც მოგახსენებთ. საქართველოს ნაკრებს პორტუგალიასთან მინიმუმ 6 ძირითადი მოთამაშე არ ეყოლება. მამუკა გორგოძე, გია ლაბაძე, დავით ზირაქაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი და მერაბ კვირიკაშვილი საკუთარმა კლუბებმა არ გამოუშვეს. მართლაც სერიოზული დანაკლისია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახალი სახეები, რომლებიც უკვე გამობრძმედილ მორაგბეებს ჩაანაცვლებენ, ღირსეულად გაირჯებიან, ხოლო, რომლებიც ამ არეულდარეული გრაფიკის გამო კლუბებიდან ვერ წამოვიდნენ, უკვე 9 თებერვალს შეუერთდებიან ნაკრებს რუმინეთის წინააღმდეგ გასამართ ჯახში.

პორტუგალიელები ტომაშ მორიაშის ხელმძღვანელობით მოდიან. მან შეკრებაზე 42 მორაგბე გამოიძახა და აქედან ნელ-ნელა ოპტიმალურ შემადგენლობას დააყენებს.

***პორტუგალიის ნაკრები:*** *ბ. დუარტე, გ. დუარტე, ა. დუარტე, კასტრო, აგიარი, ვ. კოელიო, გასპარი, სადალერა, მირა, დ. კოელიო (ყველა აგრონომია), ფლაიო, ფიგსერედო, ჟუნიორი, სოუზა, მაგალეში, კაბრალი, ფორო, კოშტა, პენია (ყველა — ლისაბონის უნივერსიტეტი), კორეა, აკოსტა, დორეი, კუტინიო, პალია, სოუზა (ყველა — დირიეიტო), მურე (ლივორნო, იტალია), სპაჩუკი, პენალვა, დ. პინტუ (ყველა — ბლანია, საფრანგეთი), სებ. კუნია, ჟ. უვა, სალ. კუნია, სილვა, დიოგო მატეუში, დავიდ მატეუში, მირანდა (ყველა ბლენენსეში), გ. უვა (მონპელიე, საფრანგეთი), გირაუ (ბოადილა, ესპანეთი), სარმენტო (პორტუს უნივერსიტეტი), სევერინო (რეჯო ემილია, იტალია), ჟ. პინტუ (ბენეტონი, იტალია), გამა (მადრიდი, ესპანეთი)*

**ზურაბ მიგრიაული**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 1 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 19 | ჩესტერფილდი-პერეფორდი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 78 | სალერნიტანა-კროტონე | 1.70 | 2.75 | 5.85 | 1.05 | 1.31 | 1.87 |
| | | ინგლისი. Carling cup | | | | | | |
| | | 22 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 69 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 70 | ევერტონი-ჩელსი | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| | | ინგლისი. FA cup | | | | | | |
| | | 22 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 71 | ბარნეტი-სუინდონი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 72 | როვერსი-ფულემი | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 23:45 | 73 | უენსდი-დერბი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | აფრიკის თასი. 2008 | | | | | | |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 79 | ნამიბია-მაროკო | 7.00 | 3.85 | 1.40 | 2.48 | 1.16 | 1.02 |
| 21:00 | 80 | ნიგერია-კოტ დიუარი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:30 | 81 | მალი-ბენინი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | 22 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 82 | ეგვიპტე-კამერუნი | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| 23:30 | 83 | სუდანი-ზამბია | 3.75 | 3.20 | 1.90 | 1.72 | 1.26 | 1.19 |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 84 | ტუნისი-სენეგალი | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 23:30 | 85 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | ინგლისი FA Trophy | | | | | | |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 74 | ალფრეტონი-ფარსლი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| | | 22 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 75 | კიდერმინსტერი-ვეიმუთი | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 23:45 | 76 | ჰალიფაქსი-ბიშოპი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 77 | გრეისი-იორკი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10079 | ნამიბია-მაროკო | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10081 | მალი-ბენინი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10082 | ეგვიპტე-კამერუნი | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10083 | სუდანი-ზამბია | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10084 | ტუნისი-სენეგალი | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11079 | ნამიბია-მაროკო | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11081 | მალი-ბენინი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11082 | ეგვიპტე-კამერუნი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11083 | სუდანი-ზამბია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11084 | ტუნისი-სენეგალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12079 | ნამიბია-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 12080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 1.60 | 2.00 |
| 12081 | მალი-ბენინი | 1.60 | 2.00 |
| 12082 | ეგვიპტე-კამერუნი | 1.60 | 2.00 |
| 12083 | სუდანი-ზამბია | 1.60 | 2.00 |
| 12084 | ტუნისი-სენეგალი | 1.60 | 2.00 |
| 12085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ნამიბია-მაროკო | 1.90 | 1.50 |
| 13080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | მალი-ბენინი | 1.90 | 1.70 |
| 13082 | ეგვიპტე-კამერუნი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | სუდანი-ზამბია | 1.70 | 1.90 |
| 13084 | ტუნისი-სენეგალი | 1.70 | 1.90 |
| 13085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.30 | 2.50 |
| 14079 | ნამიბია-მაროკო | 2.60 | 1.20 |
| 14080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 2.00 | 1.80 |
| 14081 | მალი-ბენინი | 1.45 | 2.40 |
| 14082 | ეგვიპტე-კამერუნი | 2.10 | 1.75 |
| 14083 | სუდანი-ზამბია | 2.20 | 1.70 |
| 14084 | ტუნისი-სენეგალი | 2.00 | 1.80 |
| 14085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ნამიბია-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | მალი-ბენინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ეგვიპტე-კამერუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | სუდანი-ზამბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ტუნისი-სენეგალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.17 | 4.10 |
| 16079 | ნამიბია-მაროკო | 4.20 | 1.15 |
| 16080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 2.10 | 1.60 |
| 16081 | მალი-ბენინი | 1.23 | 3.60 |
| 16082 | ეგვიპტე-კამერუნი | 2.30 | 1.48 |
| 16083 | სუდანი-ზამბია | 2.45 | 1.40 |
| 16084 | ტუნისი-სენეგალი | 1.95 | 1.70 |
| 16085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 1.58 | 2.10 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ნამიბია-მაროკო | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ნიგერია-კოტ დიუარი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | მალი-ბენინი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ეგვიპტე-კამერუნი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | სუდანი-ზამბია | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ტუნისი-სენეგალი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | სამხრეთ აფრიკა-ანგოლა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## პიერსილვიოს გეგმები

**იტალიური** „მილანის“ ერთ-ერთმა დირექტორმა და კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ვაჟმა პიერსილვიომ „როსონერიში“ განსახორციელებელი შესაძლო ტრანსფერების შესახებ საინტერესო კომენტარი გააკეთა. „ფიქრობ, ალბერტო ჯილარდინოს ჯერ კიდევ არ უჩვენებია ყველაფერი, რაც შეუძლია. ნელსონ დიდას ახლა კარგი პერიოდი არ უდგას, მაგრამ იმედია, ყველაფერი ჩაივლის, იგი კვლავ ჩვენი პირველი მეკარეა. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, სხვა გოლკიპერზეც ვიფიქროთ. პირველ რიგში, გასაძლიერებელი დაცვაა და მე ძალიან მომწონს ჯანლუკა ძამბროტა და ფილიპ მექსეში. ნახევარდაცვაში გადახალისება საჭირო არ არის. რაც შეეხება რონალდინიოს, მე იგი არასდროს მინდოდა, თან ძალიან ძვირია“ — თქვა პიერსილვიო ბერლუსკონიმ.

## მადურო ბედს არ ემდურის

**„აიაქსის“** ნახევარმცველი ჰედვიგეს მადურო „ვალენსიაში“ გადავიდა და თავისი არჩევანი ასე ახსნა: „ეს გუნდი იმიტომ ავირჩიე, რომ პრიმერადივიზიონში თამაში მინდოდა, „ვალენსია“ კი დიდი კლუბია. რონალდ კუმანს კარგად ვიცნობ, რადგან „აიაქსში“ ჩემი მწვრთნელი იყო“. ჰოლანდიის ნაკრების 22 წლის ფეხბურთელი „ღამურების“ მეორე შენაძენია არგენტინელი ევერ ბანეგას შემდეგ. მადუროში ორი მილიონი ევრო გადაიხადეს და ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

## იას პაპა

**„ჯენოას“** სენეგალელი ფორვარდი ნდიაიე პაპა ვაიგო „ფიორენტინამ“ გადაიბირა და გენუელებს სანაცვლოდ ანტონი ვანდენ ბორე დაუთმო. ბელგიელი ვანდენ ბორე ფლორენციაში გასულ ზაფხულს მიიყვანეს, მაგრამ მეტწილად სათადარიგოებში იჯდა. პაპა ვაიგოც ასევე შარშან „ჩეზენადან“ „ჯენოაში“ გადაბარგდა. 20-წლის სენეგალელმა „ფიორენტინას“ შეტევა უნდა გააძლიეროს.

## ვალენსია უიგანში

**„უიგანმა“** „რენიდან“ შუედი მცველი ერიკ ედმანი იყიდა. პრემიერლიგელებს ტრანსფერი 500 ათასი გირვანქა დაუჯდათ, ფეხბურთელმა კი ორწელიწადნახევრიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ედმანს „რენამდე“ „ტოტენჰემში“ უთამაშია. გარდა ამისა, „უიგანმა“ ეკვადორელი შემტევი ანტონიო ვალენსიაც შეიძინა. ნახევარმცველი „ვილიარეალიდან“ 2006-ის ზაფხულში ითხოვეს, ახლა კი კონტრაქტი გამოისყიდეს და სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება დაუდეს.

## გოიკომ ევროები მოიგო

**ბერლინის** „ჰერტამ“ სერბული „ვოივოდინადან“ 20 წლის ნახევარმცველი გოიკო კაჩარი შეიძინა. ფეხბურთელში, რომელიც 21-ის 26 იანვარს შესრულდება, ბუნდესლიგელებმა 3,2 მილიონი ევრო გადაიხადეს. კაჩარმა ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, წელიწადში კი 500 ათას ევროს მიიღებს. „ჰერტა“ სერბს მედიას ოფიციალურად ხვალ წარუდგენს.

## ლონდონელი პანგელანდი

**დანიური** „კოპენჰაგენის“ ნახევარმცველი ბრედე პანგელანდი ლონდონის „ფულემში“ გადავიდა, რომელიც პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. 26 წლის ნორვეგიელმა ლონდონურ კლუბთან სამწელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მხარეებმა კი გარიგების ფასი არ გაამხილეს. „ძალიან კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები და დარწმუნებული ვარ, რომ გუნდში კარგად ჩაეწერება“ — თქვა ლონდონელთა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა.

## დიომედმა დაასრულა

**მსოფლიოს** ჩემპიონმა (1998), 33 წლის ბერნარ დიომედმა კარიერა დაასრულა. ფრანგი ნახევარმცველი ბოლოს „კლერმონში“ თამაშობდა, საიდანაც 2006-ის ივნისში წამოვიდა და მას შემდეგ უკლუბოდაა. ნაკრებში რვაჯერ უთამაშია, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი სამჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა. დიომედის კარიერა „ოსერში“ დაიწყო, მერე კი ბერნარი „ლივერპულში“, „აიაჩოსა“ და „კრეტეიში“ იყო.

## დროებითიდან ორწლიანში

**ჩრდილოეთ** ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრების მწვრთნელ ნაიჯელ უორტინგტონს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. უორტინგტონმა გუნდი გაზაფხულზე დროებით ჩაიბარა მას შემდეგ, რაც ლოური სანჩესი „ფულემში“ წავიდა. მართალია, ნაკრები ევრო 2008-ზე ვერ გაიყვანა, მაგრამ ასოციაციის შეფები მისი შრომით კმაყოფილნი დარჩნენ და დატოვეს. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ჩრდილოირლანდიელთა თანაჯგუფელები ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და სან მარინო არიან.

## ბელგია რენეს ენდობა

**ბელგიის** ნაკრების მწვრთნელმა რენე ვანდერეიკენმა ხელშეკრულება ორი წლით გააზანგრძლივა. ამჟამინდელი კონტრაქტი 1 ივლისს ეწურებოდა და მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ევრო 2008-ის შესარჩევი ჯგუფიდან ვერ გავიდა, ვანდერეიკენს ენდნენ. იგი ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზეც უთავკაცებს, სადაც მეტოქეებად ესპანეთი, თურქეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სომხეთი და ესტონეთი ეყოლება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# განელთა წამებამდე გვინეას წამები დააკლდა

Africa Cup of Nations
GHANA 2008

**A ჯგუფი**

**განა 2:1 გვინეა**

**1:0 ასამოა გიანი (55პ), 1:1 კალაბანე (65), 2:1 მუნტარი (90)**

**განა: კინგსონი, სარპეი, პეინტსილი, მენსა, ადო, ესიენი, კინგსტონი, მუნტარი, ასამოა გიანი (ბაფურ გიანი 85), აგოგო, ოვუსუ აბეიე (დედე აიეუ 76)**

**მწვრთნელი: კლოდ ლე რუა**

**გვინეა: კ. კამარა, ბალდე, ა. კამარა, კალაბანე, ჟაბი, ფეინდუნო, საკო, სილა (ბა 89), ბანგურა, კორეა (სუმა 62), იულა (სისე 62)**

**მწვრთნელი: რობერ ნუზარე**

**მსაჯი: ედი მეილეტი (სეიშელები)**



განელი ჯონ პეინტსილი კანფორი სილამ და ვიქტორ კორეამ შუაში მოიქციეს

**აფრიკის** ეროვნებათა თასის გათამაშება მასპინძელთა ნერვიულობით დაიწყო. აბა, როგორი საქმეა, თან მასპინძელი რომ ხარ, თან ჩემპიონობის ფავორიტთაგანი, მეტოქედ ისე რა ძალის გვინეა გყავს და მოგება კი გიჭირს...

თუმცა ბოლო განელთათვის კეთილი იყო და გმირიც ჰყავდა: ინგლისური „პორტსმუთის“ ნახევარმცველი სალი მუნტარი, ვინაც 25 მეტრიდან მაშინ გაიტანა, თამაშის დასრულებას წამებიღა რომ უკლდა.

არადა, კაცმა რომ თქვას, რად უნდა გაჭირვებოდათ, რადგან პირველ ტაიმში განელებმა სამჯერ გაარტყეს ბურთი ძელს. მუნტარის ნახსენები გოლი კი, უსაჭიროესის გარდა უეფექტურესიც იყო — შორიდან დარტყმული ხარიხასთან ჩაეჭედა ბადეში.

თავიდან კი განა ასამოა გიანის პენალტით დაწინაურდა. იმ ეპიზოდში ოუმარ კალაბანემ ჟუნიორ აგოგო დასცა საჯარიმოში.

თუმცა გვინეელმა მცველმა შეცდომა ათიოდ წუთში გამოასწორა, როცა ლონივრად დარტყმული ხარიხიდან ასხლეტით შეაგდო რიჩარდ კინგსტონის კარში.

ხოლო ბოლო წამებზე რაც მოხდა, თავშივე მოგახსენეთ.

**კოტე კეკელია**

# ინტერი რონალდინიოსაც მიადგა





**მილანის** „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რონალდინიო ჩვენს ინტერესებში შედის და, ვფიქრობ, კლუბის სათამაშო სქემაში უპრობლემოდ ჩაეწერებოდაო.

აღსანიშნავია, რომ აქამდე „ბარსელონას“ ბრაზილიელ ვარსკვლავს აქტიურად უკავშირებდნენ „ნერაძურის“ თანაქალაქელსა და მოსისხლე მტერ „მილანს“, თუმცა „როსონერის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ უკვე არაერთხელ თქვა, რონალდინიო ზედმეტად ძვირია ჩვენთვის და თავდასხმაში საკმარისი ხალხი გვყავსო.

ამის მერე დინიოს მთავარ მსურველად ლონდონის „ჩელსი“ აღიქმებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ბრძოლაში, შესაძლოა, „ინტერიც“ ჩაერთოს.

„არავის სჯეროდა ჩემი, როცა რონალდინიოს შესაძლო დამატებაზე ვსაუბრობდი. არა მგონია, მას პრობლემა შეექმნას გუნდში ჩაწერის თვალსაზრისით. იგი დიდი ფეხბურთელია. შესაძლოა, ცოტა რთული ხასიათი აქვს, მაგრამ ნამდვილი ჩემპიონია და როცა მინდორზეა, მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ეს მას ხშირად გამოსდის კიდეც“ — აღნიშნა მანჩინიმ.

**კოკი კანდელაკი**

# მელბერგი და სისოკო იანვარშივე?

**იტალიური** პრესის ცნობით, ბირმინგემის „ასტონ ვილას“ შვედი მცველი ოლოფ მელბერგი და „ლივერპულის“ მალელი ნახევარმცველი მოჰამედ სისოკო ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს არიან.

მელბერგი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება, მაგრამ „იუვეს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნა და გაძლიერება ახლავე სჭირდება. ამბობენ, ტურინელები მზად არიან, 30 წლის ფეხბურთელში მილიონი ევრო გადაიხადონ. თუმცა, თუ „ვილა პარკის“ ბინადრები მეტს მოითხოვენ, „ბებერი ქალბატონი“, ალბათ, ზაფხულამდე დაცდას ამჯობინებს.

რაც შეეხება სისოკოს, „ბიანკონერი“ მას დიდი ხანია, უტრიალებს და თავად ფეხბურთელმაც საჯაროდ განაცხადა — „იუვენტუსში“ გადასვლა ძალიან მინდაო. თუმცა პრობლემა აქაც ფულია. მერსისაიდელები 15 მილიონ ევროს ითხოვენ, ტურინელებს კი იმედი აქვთ, რომ 10-11 მილიონშიც ჩაეტევიან და ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე მაინც დაიყოლიებენ ინგლისელებს.

„იუვენტუსს“ უკვე შეთანხმებული ჰქონია სისოკოსთან პირადი ოთხწლიანი კონტრაქტი. აფრიკელი სეზონში მიახლოებით 2,8 მილიონ ევროს მიიღებს. „გაძეტა დელო სპორტი“ იმასაც გვაუწყებს, რომ „ბიანკონერი“ ამ ტრანსფერებისთვის ფულის აღებას ტიაგუ მენდეშის „ტოტენჰემისთვის“ მიყიდვით აპირებსო — პორტუგალიელში ლონდონელები 13-14 მილიონ ევროს იხდიანო.

**გიორგი კაკაბაძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა XXIII ტური

**უიგანი 1:2 ევერტონი**

0:1 ჯონსონი (39), 0:2 ლესკოტი (42), 1:2 იაგიელკა (53ს.კ.)

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბრემბლი, შარნერი, კილბეინი, ვალენსია, ბრაუნი (აგაპოვა 82), პალასიოსი, ლანდზაატი (კუმასი 52), ჰესკი (სიბიერსკი 52), მ. ბენტი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, იაგიელკა, ნუნუ ვალენტე არტეტა, კარსლი, ფ. ნევილი (ვონი 74), ოსმანი, კეიჰილი, ჯონსონი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: პალასიოსი, ჰიბერტი, არტეტა

მსაჯი: რობერტ ლი

18 820 მაყურებელი

**სითი 1:1 ვესტ ჰემი**

0:1 კ. კოული (9), 1:1 ვასელი (17)

**სითი:** ჰარტი, რიჩარდსი, ბოლი, კორლუკა, დანი, აირლენდი (ჯოვანი 69), ვასელი (ფერნანდესი 59), პეტროვი, ჰამანი, ბიანკი, ელანო (გარიდო 79)

მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი

**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, მაკარტნი, ფერდინანდი, აპსონი, ლიუნგბერგი, ნობლი, მალინსი, ბოიერი (სპექტორი 90), კ. კოული, ბოა მორტე (ფობერი 72)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: დანი, ჯოვანი, ნილი, ნობლი, ბოიერი, ბოა მორტე

მსაჯი: ფილ დაუდი

39 042 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:0 ბოლტონი**

**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ტეილორი, კასაპა, ენრიკე, მილნერი, როზენალი, ნზოგბია, დაფი (ლუა ლუა 80), ოუენი, ამეობი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, სტეინსონი, ა. ობრაიენი, მიხალიკი, გარდნერი, ჯ. ობრაიენი, ნოლანი (კამპო 67), მაკკანი (კოენი 75), გათრი, დევისი, ტეილორი (სამოელი 79)

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: ნოლანი, ტეილორი

მსაჯი: ალან უაილი

52 250 მაყურებელი

**რედინგი 0:2 მანჩესტერი**

0:1 რუნი (77), 0:2 რონალდუ (90)

**რედინგი:** ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, სისე, შორი, დოილი, ჰანტი, ჰარპერი, კონვეი (მატეიოვსკი 80), ლიტა (ლონგი 83), კიტსონი

მწვრთნელი: სტივ კოპელი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, ჰარგრივსი (ნანი 70), პარკი (გიგზი 46), რუნი, ტევესი (ფლეტჩერი 81)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: კონვეი, ფერდინანდი

მსაჯი: სტივ ბენეტი

24 135 მაყურებელი

**ფულემი 0:3 არსენალი**

0:1, 0:2 ადებაიორი (19, 38), 0:3 როსიცკი (81)

**ფულემი:** ნიემი, ფოლცი, ჰიუზი, სტეფანოვიჩი, ბოკანეგრა, კიჰიონი (ჰილი 61), სმერტინი (კუქი 78), დევისი (ბალარდი 46), მერფი, დეივისი, დემპსი

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

**არსენალი:** ალმუნია, სანია, სენდეროსი, გალასი, კლიში, გლები, ფლამინი, ფაბრეგასი, როსიცკი, ადებაიორი, ედუარდო

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კლიში

მსაჯი: პიტერ უოლტონი

25 297 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:1 ჩელსი**

0:1 პიზარო (79)

**ბირმინგემი:** ტეილორი, კელი, შმიცი, რიჯველი, კედრუ, ლარსონი, მუამბა, ჯონსონი, კაპო, ოკონორი (ფორსელი 78), ჯერომი (მაკფადენი 72)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ალექსი, კარვალიუ, ეშლი კოული, რაიტ-ფილიპსი (პიზარო 29), მაკელელე, ბალაკი, ჯო კოული (სიდველი 85), ანელკა, მალუდა (ბრიჯი 90)

# როი კინმა აბდულშაჰილივით დაიჩივლა

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: მუამბა, პიზარო

მსაჯი: რობ სტაილზი

26 567 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 სანდერლენდი**

1:0 ლენონი (2), 2:0 კინი (90)

**ტოტენჰემი:** ჩერნი, სტალტერი (შიმბონდა 79), ლი, დოუსონი, ჰადლსტოუნი, ჯენასი, ბოატენგი, ოჰარა (ტაინიო 55), ლენონი, ბერბატოვი, დეფო (კინი 74)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

**სანდერლენდი:** გორდონი, ნოსვორთი, მაკშეინი (კოული 75), კოლინზი, ევანსი, უითერშედი, მერფი, მილერი, იორკი, სტოქსი (ჩოპრა 39), ჯონსი

მწვრთნელი: როი კინი

გაფრთხილება: ლი, შიმბონდა, მაკშეინი, ჩოპრა

მსაჯი: ლი მეისონი

36 070 მაყურებელი

**პორტსმუთი 3:1 დერბი**

0:1 ნიატანგა (4), 1:1, 2:1, 3:1 მვარუვარი (38, 42, 55)

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, ამარო, დისტენი, პრეიდარსონი, ლორენი, დიარა (ჰიუზი 81), მენდესი, კრანჩარი, მვარუვარი (მვუემბა 89), ნაჯენტი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**დერბი:** პრაისი, მილსი (ლევისი 32), ტოდი, მური, ნიატანგა, ფეგანი (ტილი 68), სევიჯი, გეილი, რობერტი (ბარნსი 56), ვილია, მილერი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: დიარა, ფეგანი, ვილია

მსაჯი: მაიკ დინი

19 401 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 მიდლსბრო**

0:1 ვეტერი (13), 1:1 დერბიშირი (75)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოიერი, სამბა, ნელსონი, უორნოკი, ბენთლი, რიდი, დანი (დერბიშირი 65), პედერსენი (ემერტონი 65), სანტა კრუზი, რობერტსი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**მიდლსბრო:** შვარცერი, იანგი, ჰუტი, ვეტერი, პოტაგეცი, ონილი, ბოატენგი, არკა (როშემბაკი 46), დაუნინგი, თუნჯაი, ალიადიერი

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: სამბა, ბოატენგი, როშემბაკი, ონილი

მსაჯი: კეიტ სტრადი

21 687 მაყურებელი

**ლივერპული — ასტონ ვილა**

*დღეს გაიმართება*

**29 სექტემბრის** შემდეგ „პორტსმუთს" პრემიერლიგის მატჩში შინ გოლი არ გაეტანა. თითქმის სამთვიანი „სიმშრალე" შაბათს შეწყდა და ბენჯანი მვარუვარიმ ჰეთ თრიქი შეასრულა. ზიმბაბველმა ფორვარდმა გოლების პირადი სეზონური რაოდენობა 12-მდე გაზარდა.

„დერბი" მეოთხე წუთზე ლუის ნიატანგას წყალობით დაწინაურდა, რომელმაც ძელიდან უკუგდებულს ახლოდან დაამატა. ბოლოადგილოსანმა „დერბიმ" პირველი ტაიმის ბოლომდე ველარ გაუძლო მასპინძელთა შეტევებს და მვარუვარიმ ოთხ წუთში ორჯერ შეაგდო. ჯერ ნაჯენტისა და მენდესის კომბინაცია დაასრულა გოლით, მერე კი ნაჯენტის პასი შეირგო და „პორტსმუთს" ტაიმი მოაგებინა. გასახდელიდან დაბრუნებულმა ზიმბაბველმა წყურვილი მესამე გოლით მოიკლა, როცა მენდესთან გათამაშებული ბურთი „ცხვრების" კარში შეაგდო.

ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა მადლობა არსენ ვენგერს გადაუხადა: „როცა მვარუვარის „ოსერიდან" ვყიდულობდით, ვენგერს დავეკითხე და მან მირჩია, რომ ეს ბიჭი წამომეყვანა. თავიდან ვერ ჩაეწერა ჩვენებურ ფეხბურთში, მაგრამ ამ სეზონში საუცხოოა. მან დღეს სამი სხვადასხვანაირი გოლი შეაგდო. ტრავმირებულიც კი სათამაშოდ იწევს, რასაც ბევრი ვერ გაბედავს".

ექვსი ტურის განმავლობაში ცდილობდა რობი კინი მე-100 ტოტენჰემული გოლის გატანას და „სანდერლენდთან" დაამრგვალა. ირლანდიელი სათადარიგოებში იყო და ფიქრობდა, რომ მომდევნო ტურამდე მოუწევდა ცდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ბოლოს იყოჩაღა და საიუბილეო შეაგდო.

„მამლები" მეორე წუთზევე იგებდნენ აარონ ლენონის გოლით, რამაც „სანდერლენდის" მწვრთნელი როი კინი გააბრაზა. „ასეთი შეცდომების გამო ორ გოლს რომ გაუშვებ, გამარჯვებას ვერასოდეს ეღირსები — თქვა მან — 111-ე წამზე გაგვიტანეს. ეს ხომ დაუშვებელია. თამაში ჯერ არ დაწყებულიყო და უკვე ვაგებდით".

ლიდერ „მანჩესტერს" „რედინგი" გვარიანად გაუძალიანდა და ალექს ფერგიუსონი ანერვიულა. უპირატესობის მიუხედავად, სტუმრებმა შესვენებამდე ვერ შეაღეს „რედინგის" კარი და ფერგიუსონმა მეორე ტაიმში პარკის ნაცვლად გიგზი შეუშვა. უელსელმა „მანჩესტერის" შეტევები უფრო სახიფათო გახადა და გოლიც „გამოჩნდა". ტევესის პასით უეინ რუნიმ ანგარიში გახსნა, ხოლო მატჩის მიწურულს კრიშტიანუ რონალდუმ გააორა. „ჩემი გუნდი „მანჩესტერის" ცხრა ფეხბურთელს გაუმკლავდა, მაგრამ ორი (რუნი და რონალდუ) ვერ შევაჩერეთ, რადგან ისინი გამორჩეულად ნიჭიერები არიან" — განაცხადა სტივ კოპელმა, რომლის გუნდმაც შინ მიჯრით მესამედ წააგო.

